# საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემების პროექტი

## საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

## ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების სახელმძღვანელო

23 აპრილი, 2019

შინაარსი


აბრევიატურები და აკრონიმები ..... 4

განმარტებები ..... 5

1. შესავალი ..... 6

1.1. ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები - პროგრამის მიზნები ..... 8

1.2. ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები – ძირითადი მახასიათებლები ..... 8

1.3. ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები - პროგრამის აღწერა ..... 9

2. საკვალიფიკაციო კრიტერიუმები ..... 10

2.1. აპლიკანტებისა და თანააპლიკანტების საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, ასეთების არსებობის შემთხვევაში ..... 10

2.2. პროექტების/აქტივობების დასაშვებობა ..... 11

2.3. მიზნობრივი ხარჯები ..... 11

2.4. მთავარი აპლიკანტის პასუხისმგებლობები ..... 13

3. შესყიდვების პროცედურები ..... 14

3.1. IBRD-ის სახელმძღვანელო პრინციპები ..... 14

3.2. თაღლითობა და კორუფცია ..... 14

4. აპლიკაციის გაგზავნა ..... 15

4.1. თანხმობა კონკურსის პირობებზე ..... 15

4.2. IP-ის და ნოუ-ჰაუს მოთხოვნები ..... 16

4.3. აპლიკაციის ფორმები და მხარდამჭერი დოკუმენტები ..... 16

4.4. აპლიკაციის წარდგენის ინსტრუქციები ..... 18

5. პროექტის შეფასება და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება ..... 19

5.1. ტექნიკური შემოწმება ..... 19

5.2. წინასწარი შეფასება ..... 21

5.3. საინვესტიციო კომიტეტის მიერ განხილვა ..... 23

5.4. მოლაპარაკებები და გრანტების გადაცემა ..... 24

6. პროექტის იმპლემენტაცია და მონიტორინგი ..... 25

6.1. პროექტის იმპლემენტაცია ..... 25

6.2. გადახდები ..... 26

6.2.1. გადახდების კალკულაცია და ბალანსები ..... 27

6.2.2. ფინანსური ანგარიში ..... 32

6.2.3. პროგრესის ანგარიში ..... 33

6.2.4. მონიტორინგის ვიზიტები ..... 33

6.3. ძირითადი ფაილი ..... 34

6.4. დაფინანსების შეწყვეტა ..... 35

## აბრევიატურები და აკრონიმები

| | |
|---|---|
| BfD | პროგრამა ფართოზოლოვანი „ინტერნეტი განვითარებისათვის |
| CICs | ინოვაციური ცენტრები |
| EMP | ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა |
| ESMF | ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი |
| ESMP | ბუნებრივი და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა |
| FM | ფინანსური მართვა |
| FAQ | ხშირად დასმული კითხვები |
| FY | ფისკალური წელი (საქართველო: 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრამდე) |
| GDP | მთლიანი შიდა პროდუქტი |
| GEL | ქართული ლარი |
| GENIE | საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემა პროექტი |
| GITA | საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო |
| IC | საინვესტიციო კომიტეტი |
| ICT | ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები |
| IP | ინტელექტუალური საკუთრება |
| IT | საინფორმაციო ტექნოლოგია |
| M&E | მონიტორინგი და შეფასება |
| IMG | ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები (პროგრამა) |
| IMGM | ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების სახელმძღვანელო |
| MoESD | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| MSME | მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები |
| NIE | ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემა |
| POM | პროექტის ოპერაციული სახელმძღვანელო |
| პროექტი | შესაბამისი საგრანტო პროგრამის აპლიკანტის პროექტი |
| პროგრამა | ინოვაციების თანადაფინანსების საგრანტო პროგრამა |
| Q&A | კითხვები და პასუხები |
| R&D | კვლევა და განვითარება |
| RIHs | რეგიონალური ინოვაციების ჰაბები |
| SMEs | მცირე და საშუალო საწარმოები |
| SOE | ხარჯების უწყისი |
| TA | ტექნიკური დახმარება |
| WB, Bank | მსოფლიო ბანკი |

## განმარტებები

| | |
|---|---|
| **აპლიკაცია** | აპლიკატის მიერ საპროექტო განაცხადის ფარგლებში წარდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტისა და მონაცემთა პაკეტი |
| **საპროექტო განაცხადი** | საპროექტო განაცხადი აპლიკაციის განუყოფელი ნაწილია. იგი შედგება ბიზნეს-გეგმის, პროექტის ბიუჯეტის, ფინანსური პროგნოზის, და აპლიკანტის განცხადებისგან. |
| **პროექტის დამტკიცებული ბიუჯეტი** | აპლიკანტის პროექტის ბიუჯეტი, რომელიც თან ერთვის საპროექტი წინადადებას დადამტკიცებულია GITA-ს მიერ, გრანტის დაფინანსებისთვის. |
| **საგრანტო კონკურსი** | განცხადება, რომელიც განსაზღვრულია იმ განმცხადებლებისთვის რომლებიც აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ისეთი საპროექტო წინადადებების წარმოდგენის შესაძლებლობის მისაცემად, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს. |
| **დაფინანსების ხელშეკრულება** | ბენეფიციარისა და სააგენტოს (GITA) მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ამ ორი მხარის პასუხისმგებლობებს. |
| **საბოლოო ანგარიშსწორება** | სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ხელმოწერილია GITA-ისა და ბენეფიციარის მიერ, პროექტის იმპლემენტაციის ბოლოს, რაც განსაზღვრავს პროექტის იმპლემენტაციის დასრულებას და დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. |
| **ბენეფიციარი** | დასაშვები აპლიკანტი, რომელმაც შეასრულა GITA-სთან გაფორმებული დაფინანსების ხელშეკრულების პირობები |
| **განმახორციელებელი სააგენტო** | საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) |
| **ტექნიკური შემოწმება** | განაცხადების შემოწმების პირველი ეტაპი, სადაც განაცხადები მოწმდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების, ადმინისტრაციული და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესატყვისობის |
| **მოლაპარაკებების ეტაპი** | კონტრაქტის მოლაპარაკებების ეტაპი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ნებისმიერი ბუნდოვანება, რომლებიც წარმოიშვა შეფასების პროცესში და რათა მოხდეს დამატებითი დოკუმენტების მოპოვება ან განაცხადების გადახედვა. |

## 1. შესავალი

ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების (IMG) პროგრამა არის საქართველოს ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის (GENIE) პროექტის ნაწილი, რომელსაც საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA) ახორციელებს. GENIE პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოში მოღვაწე ფირმებისა და ინდივიდუალური პირების ინოვაციური აქტივობისა და მათი ციფრულ ეკონომიკაში მონაწილეობის გაზრდა. პროექტი GENIE ფინანსედება 23.5 მილიონი აშშ დოლარიანი მსოფლიო ბანკის (WB) სესხით. GENIE გააუმჯობესებს საქართველოს ეროვნულ ინოვაციურ ეკოსისტემას[1], სამი კომპონენტით ინტეგრირებული მიდგომის მეშვეობით.

**კომპონენტი 1: ინოვაციური ინფრასტრუქტურა**

ეს კომპონენტი: (ა) განავითარებს ინოვაციების ჰაბებისა და ცენტრების ქსელს საქართველოს მასშტაბით შერჩეულ დიდ და მცირე ქალაქებსა და სოფლებში; და (ბ) დაგეგმავს და საცდელად გაუშვებს პროგრამას - ფართოზოლოვანი ინტერნეტი განვითარებისთვის (BfD), რათა მხარი დაუჭიროს საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შესატყვისი შინამეურნეობების და მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების მიერ ფართოზოლოვანი ინტერნეტ-მომსახურების და მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების მასშტაბების ზრდას, სასოფლო დასახლებებზე ფოკუსირებით.

**კომპონენტი 2: ინოვაციური სერვისები**

ეს კომპონენტი გულისხმობს ინოვაციების ცენტრებთან და რეგიონულ ინოვაციების ჰაბებთან კორდინირებით, პროექტის ბენეფიციარებისათვის მომსახურების მიწოდებას. კომპონენტი ასევე მოიცავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართულ საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას, ტრეინინგებსა და ტექნიკურ დახმარებას შემდეგ საკითხებში: (ა) ინოვაციების საზოგადოების შექმნა საქართველოში და ინოვაციების კონკურსების ორგანიზება (ბ) ფირმების წარმომადგენლების ტექნიკური უნარების პერიოდული შეფასება და გაუმჯობესება ციფრული ეკონომიკის საკითხებში და მათი ინოვაციების უნარ-ჩვევების გამომუშავება/გაუმჯობესება

**კომპონენტი 3: ინოვაციური დაფინანსება**

ეს კომპონენტი მოიცავს: (ა) თანადაფინანსების გრანტების უზრუნველყოფას, საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შესატყვისი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების შერჩევას თანადაფინანსების გრანტების მისაღებად, და თანადაფინანსების გრანტების

[1] ინოვაციების ეროვნული ეკოსისტემა ჩაფიქრებულია როგორც ორგანიზაციების, წესებისა და მექანიზმების ქსელი, რომლებიც გავლენას ახდენენ იმაზე თუ როგორ ახდენს ქვეყანა ცოდნისა და ტექნოლოგიის გენერირებას, გავრცელებასა და გამოყენებას.

ზედამხედველობას; (ბ) ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას საკვალიფიკაციო კრიტერიუმების შესატყვისი საწარმოებისათვის ქვე-პროექტების მომზადებისა და განხორციელების მიზნით (თანადაფინანსების გრანტებით); და (გ) ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფას ინოვაციების დაფინანსების ალტერნატიული ფორმების და ციფრულ ეკონომიკაში ინვესტირების სტიმულირებისათვის.

**GINIE პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია**

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია და შესაბამისად, თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ადმინისტრატორია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექვემდებარება. საქართველოს მთავრობამ სააგენტო 2014 წლის 19 თებერვლს, No. 172 ბრძანებულებით დააფუძნა. სააგენტო პასუხისმგებელია საქართველოში ინოვაციების პოლიტიკის განხორციელებაზე, რაც ასევე გულისხმობს მოწოდების კუთხით არსებულ იმ საბაზრო სირთულეებზე რეაგირებას, რაც ზღუდავს ქვეყანაში კვლევისა და ინოვაციების განვითარებასა და ხარისხს, და რაშიც შედის ადრეულ ეტაპზე დაფინანსება და ინოვაციების ინფრასტრუქტურის შექმნა.

სააგენტო პასუხისმგებელია GENIE პროექტის განხორციელებაზე, რაც ასევე მოიცავს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ადმინისტრირებას, რომელსაც ახორციელებს სააგანეტოში არსებული კონკრეტული სტრუქტურული ერთეული, ინოვაციების და კომერციალიზაციის დეპარატამენტი. აღნიშნული დეპარტამენტის ფუნქციაა დაგეგმოს, განახორციელოს და მონიტორინგი გაუწიოს პროექტით დაფინანსებულ აქტივობებს. ასევე, პროექტის პროგრესზე ანგარიშვალდებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისიტროსა და მსოფლიო ბანკის წინაშე. მისი ფუნქცია ასევე მოიცავს იმ ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას, რომლებიც მონაწილეობენ პროექტში GENIE. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციაა მეთვალყურეობა და კოორდინაცია. სააგენტო შექმნის დამოუკიდებელ ორგანოს, საინვესტიციო კომიტეტს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება თანადაფინანსების გრანტების მინიჭების გადაწყვეტილებაზე.

GENIE აგრეთვე უზრუნველყოფს თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ადმინისტრირების, გრანტის განმცხადებლებისა და გამარჯვებულების ტრენინგისა და ქოუჩინგის ხარჯებს. ამგვარი დახმარება საჭიროა, რადგან მონაწილეთა დიდი ნაწილი არასაკმარისად გამოცდილია თანადაფინანსების გრანტების განაცხადების წარდგენისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის დარგში. გრანტზე განაცხადების შემოტანის პროცესში ჩატარებული სემინარები და ტრეინინგები უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის განაცხადების მიღებას. თითოეული ბენეფიციარისთვის წელიწადში განსაზღვრულია 10-დღიანი ქოუჩინგი ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების კომბინირებული ძალისხმევით. ტრენიგები და ქოუჩინგი ჩატარდება სააგენტოს მიერ მოწვეული ექსპერტების ჯგუფის მიერ, რაც საჭიროა მე-2 კომპონენტის ფარგლებში დასახული მიზნების მისაღწევად.

მოცემული თანადაფინანსების გრანტების სახელმძღვანელო მომზადდა, რათა სხვა საკითხთა შორის დაზუსტდეს გრანტის მიზნები, ბენეფიციართა საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, გრანტების მაქსიმალური მოცულობა, მიზნობრივი ხარჯები, პროექტის შერჩევისა და შეფასების პროცესი, ანგარიშგება და შესყიდვების მეთოდები.

### 1.1. ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები - პროგრამის მიზნები

ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების პროგრამის მიზანია მოახდინოს ინოვაციების, ინოვაციური საწარმოების შექმნის სტიმულირება და ჩართვა ქვეყნის ეკონომიკაში. პროგრამის მეშვეობით ქართული მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები, რომელთაც გააჩნიათ პოტენციალი საკუთარი ინოვაცია განავითარონ და წარადგინონ მსოფლიოს დონეზე, მოახდენენ ინოვაციური პროდუქტის პოზიციონირებას გლობალურ ბაზარზე. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გლობალური პოტენციალის მქონე პროდუქტი - ტექნოლოგიური ან ბიზნეს-პროცესის ინოვაცია, რომელიც ნათლად ასოცირებული იქნება საქართველოსთან.

### 1.2. ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები – ძირითადი მახასიათებლები

IMG პროგრამა დააფინანსებს პროექტების პორტფოლიოს, რომელიც აჩვენებს მნიშვნელოვან ინოვაციასა და ბაზრის პოტენციალს. პროექტები მიმართულია ახალი პროდუქტების, პროცესების ან სერვისების განვითარებაზე (ან არსებულის ინოვაციურ გამოყენებაზე), რომლებიც, როგორც მინიმუმ, ქართული ბაზრისთვისაა ახალი. მიუხედავად ამისა, უპირატესობა მიენიჭება პროექტებს, რომლებიც გვთავაზობენ გლობალური მასშტაბის ინოვაციებს, ან ახდენენ სერვისების მიწოდების სტიმულირებას საერთაშორისო ბაზრებზე (ინტერნაციონალიზაცია). IMG პროგრამის ძირითადი მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილში 1.

**ცხრილი 1**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება: | ინოვაციების თანადაფინანსების საგრანტო (IMG) პროგრამა |
| ინსტრუმენტი | საჯარო-კერძო სექტორის თანადაფინანსების გრანტი |
| IMG-ის მიზანი | ინოვაციების სტიმულირება ქართულ ეკონომიკაში, პროდუქტის, ტექნოლოგიური ან ბიზნეს პროცესების ინოვაციების, ასევე, ტექნოლოგიის შემუშავების გზით. |
| ერთჯერადი გრანტის თანხა | მინიმუმ 150,000 ლარი. მაქსიმუმ 650,000 ლარი პროექტზე. მთლიანი IMG პროგრამის განმავლობაში, აპლიკანტი/თანააპლიკანტი ვერ მიიღებს 650,000 ლარზე მეტს. |
| კერძო სექტორის თანადაფინანსება | პროექტის მიზნობრივი ხარჯების (ნაღდი) 50% უნდა იყოს წარმოდგენილი:<br>(i) კომპანიის ან მეწილეების საკუთარი რესურსების<br>(ii) სარისკო კაპიტალის (ანგელოზი ინვესტორები, ვენჩურული კაპიტალი ან კერძო სექტორის სხვა ფონდები);<br>(iii) სესხის მომწოდებლების;<br>(iv) სხვა წყაროები, გარდა ქართული ან |

| | |
|---|---|
| | საერთაშორისო საჯარო სექტორის ინსტიტუციების დაფინანსებისა.<br>*დამატებითი დეტალები წარმოდგენილია ქვემოთ, 5.4. თავში. |
| აპლიკანტები/გრანტის მიმღებნი | ყველა საწარმო, წლიური ბრუნვით 30 მილიონამდე, თითოეულ საწარმოზე; ორგანიზაციების კონსორციუმი, სადაც წამყვანი აპლიკანტი საწარმოა. პროგრამა მიზნად ისახავს საწარმოების დაარსებას*, ანუ კომპანიები, რომლებიც კონკურსის გამოცხადებამდე მინიმუმ ერთი (1) წლით ადრე დაფუძნდნენ |
| პროექტის ხანგრძლივობა | 24 თვემდე |

*კონსორციუმის მიერ გაგზავნილი პროექტებისთვის, ეს მოთხოვნები ეხება მხოლოდ მთავარ აპლიკანტს.

საგრანტო განაცხადეის მიღება ინოვაციების თანადაფინანსების გრანტებზე გამოცხადდება GITA-ის მიერ და აპლიკაციების განხილვა მოხდება მათი მიღების პროცესში. თუმცა, აპლიკაციების შეფასებას და გრანტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოხდება კვარტალურად. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მოხდება კონკურენტუნარიანობის დაცვით.

### 1.3. ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები - პროგრამის აღწერა

ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები განისაზღვრება, როგორც საქართველოში დარეგისტრირებული კერძო საწარმოებისთვის, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 30 მილიონ ლარს, გადაცემული გრანტები, მოსაზრებული პროდუქტის, ტექნოლოგიური ან ბიზნეს პროცესის ინოვაციის ან ტექნოლოგიის შემუშავების/მიღებისთვის, რომელიც ახალია საქართველოსთვის და აქვს ძლიერი საბაზრო პოტენციალი. ასევე, დაიშვება კონსორციუმის (ერთზე მეტი კომპანია) მიერ გაკეთებული განაცხადები. უპირატესობა მიენიჭება პროექტებს, რომლებიც გვაცნობენ გლობალური მასშტაბის ინოვაციებს ან საშუალება აქვთ, მოხდეს სერვისების გატანა საერთაშორისო ბაზრებზე. თანადაფინანსების გრანტმა შეიძლება დაფაროს პროექტის საერთაშორისო დამტკიცებული ბიუჯეტის მაქსიმუმ 50%, 650,000 ლარამდე, პროექტის 2 წლამდე ხანგრძლივობით. პროექტის ბიუჯეტის მინიმუმ 50 პროცენტი უნდა იყოს დაცული აპლიკანტის ნაღდი კონტრიბუციით სხვა წყაროებიდან. მისაღები თანადაფინანსება მოიცავს აპლიკანტის საკუთარი რესურსებით ნაღდ კონტრიბუციას, არსებულ ან პოტენციურ ინვესტორებს/საწარმო კაპიტალს/კერძო კაპიტალს და კერძო სექტორის საკრედიტო დაფინანსებას და სხვა კერძო სექტორის ნაღდ კონტრიბუციებს და არ მოიცავს სხვა დაფინანსებას GITA-ს ან სხვა კერძო სექტორის საგრანტო წყაროებს. თანადაფინანსების სხვა წყაროები შეიძლება იყოს გათვალისწინებული.

კერძო სექტორის კონტრიბუცია მოთხოვილი იქნება გრანტის გადარიცხვის ტრანშების გრაფიკის თანახმად. ტრანშები გადაირიცხება კვარტალურად და საგრანტო აპლიკაციაში წარმოდგენილი ხარჯების გეგმის შესაბამისი იქნება. ფინანსური და ტექნიკური პროგრესი

დამოწმდება GITA-ის მიერ ყოველკვარტალურად, ყოველ მომდევნო გადახდამდე, რათა მოხდეს ფონდების პროდუქტიული და გამჭვირვალე გამოყენების უზრუნველყოფა.

## 2. საკვალიფიკაციო კრიტერიუმები

თითოეული მიღებული აპლიკაცია განისაზღვრება და შეფასდება დასაშვებობაზე სამი კრიტერიუმის გამოყენებით: (1) აპლიკანტ(ებ)ის შესაბამისობა საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან, (2) აქტივობების/პროექტების დასაშვებობა, და (3) ხარჯების მიზნობრიობა.

### 2.1. აპლიკანტებისა და თანააპლიკანტების საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, ასეთების არსებობის შემთხვევაში

1. აპლიკანტი (და მთავარი აპლიკანტი, თუკი პროექტები იგზავნება კონსორციუმის მიერ) არის კერძო სექტორის (მინიმუმ, 51% კერძო საკუთრებაში) ბიზნეს სუბიექტი, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს მეწარმეთა შესახებ მოქმედი კანონით, და რეგისტრირებულია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (NAPR) მიერ, ხოლო მისი წლიური ბრუნვა არ აღემატება 30 მილიონ ლარს; კონსორციუმის შემთხვევაში, აპლიკაციის გაგზავნამდე, კონსორციუმის წევრების მიერ განისაზღვრება მთავარი აპლიკანტი. კონსორციუმის ყველა წევრი სოლიდარულად პასუხისმგებელი იქნება, საქართველოს სახელმწიფოს კანონის ფარგლებში.
2. აპლიკანტი (მთავარი აპლიკანტი, კონსორციუმის მიერ გაგზავნილი პროექტების შემთხვევაში) დარეგისტრირდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე მინიმუმ, ერთი (1) წლით ადრე.
3. აპლიკანტის (მთავარი აპლიკანტის) საკუთრების უდიდესი ნაწილი[2] არ უნდა ეკუთვნოდეს მშობელ კომპანიას.

პროექტების წარდგენა შეიძლება მოხდეს კონსორციუმის მიერ. ამ შემთხვევაში, თითოეული თანააპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი დასაშვებობის კრიტერიუმებიდან **ერთერთს**:

- კერძო სექტორის (მინიმუმ, 51% კერძო საკუთრებაში) ბიზნეს სუბიექტი, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს მეწარმეთა შესახებ მოქმედი კანონის თანახმად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ან
- ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (საჯარო ან კერძო), რომელიც მდებარეობს საქართველოში, ან
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიები ან სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები

ამასთან, აპლიკანტის განცხადებაში (დანართი IMG5), აპლიკანტი (კონსორციუმის ყველა წევრის სახელით) უნდა აცხადებდეს, რომ:

- აპლიკანტი (თანააპლიკანტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არის ბანკროტი, გადახდისუუნარო, ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის პროცესში, არ არიან

[2] ანუ 50%-ზე მეტი.

დარეგისტრირებულები აღსრულების ეროვნული ბიუროს მევალეთა რეესტრში ან არ აქვთ აქტიური საქმისწარმოება სასამართლოებში, რაიმე მიზეზით არ აქვს შეჩერებული სამეწარმეო საქმიანობა, არ წარმოადგენს ამ საკითხების გარჩევის საგანს, ან იმყოფება მსგავს სიტუაციაში, რომელიც ანალოგიური პროცედურის შედეგად ჩნდება, რაც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით ან წესებით;

- აპლიკანტი (თანააპლიკანტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ არღვევს გადასახადებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად.

გრანტის მინიჭების შემთხვევაში, (მთავარი) აპლიკანტი პასუხისმგებელი იქნება პროექტის იმპლემენტაციაზე. აპლიკანტი ხელს მოაწერს კონსორციუმის ხელშეკრულებებს, თანააპლიკანტებთან ერთად. კონსორციუმის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხების არასრული სია წარმოდგენილია ამ სახელმძღვანელოს თავში 5.4.

### 2.2. პროექტების/აქტივობების დასაშვებობა

IMG პროგრამით, GITA დააფინანსებს ტექნოლოგიურ პროექტებს/აქტივობებს, გარდა იმ პროექტებისა, რომლებიც უკავშირდება:

- სამხედრო, ბირთვულ ტექნოლოგიებთან, სპირტის და სპირტიანი[3] სასმელების, თამბაქოს, და სახიფათო ნივთიერებების წარმოებისა;

- ან ნებისმიერი სხვა საქმიანობისა, რომელიც შეტანილია პროექტის GENIE ESMF-ის („ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი“) II დანართში მოცემულ აკრძალულ საქმიანობათა ნუსხაში (იხ.დანართი IMG1)

### 2.3. მიზნობრივი ხარჯები

გრანტი დაფარავს მხოლოდ ‘მიზნობრივ ხარჯებს’. ქვემოთ მოყვანილია მიზნობრივი და არამიზნობრივი ხარჯის კატეგორიები.

ბიუჯეტი წარმოადგენს როგორც ხარჯთაღრიცხვას, ასევე ‘მიზნობრივი ხარჯების’ საერთო ზედა ზღვარს

მიზნობრივ ხარჯებად შეიძლება ჩაითვალოს ის ხარჯები, რომელიც ყველა ქვემოთ მითითებულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

(1) ხარჯი გაწეულია შეთანხმებული პროექტის ბიუჯეტის თანახმად;

(2) გაწეული და გადახდილია პროექტისგანხორციელების პერიოდში.

(3) მიზნობრივი და აუცილებელია პროექტისგანსახორციელებლად;

(4) აღრიცხულია ბენეფიციარის საბუღალტრო ჩანაწერებში;

[3] პროექტები/აქტივობები რომლებიც უკავშირდება ღვინის ინდუსტიას, მიიჩნევა დასაშვებად, ვინაიდან ისინი სპირტიანი სასმელების წარმოებას არ უკავშირდება.

(5) შეესაბამება ადგილობრივ საგადასახადო კანონმდებლობას;

GITA რეკომენდაციას უწევს, რომ აპლიკანტებმა მოახდინონ პროექტის ბიუჯეტის სტრუქტურირება და ხარჯების ორგანიზება, დაახლოებით შემდეგი სახით:

1. ხელფასები: ყველა გადასახადისა და სოციალური სარგებლის ჩათვლით, პროექტის თანამშრომლებისთვის. დასაშვებია მაქსიმალური ერთჯერადი ხელფასი, რომელიც სამჯერ აღემატება საშუალო ეროვნულ ხელფასებს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს (საქსტატი) ბოლო გამოცემის მონაცემების თანახმად[4];
2. აღჭურვილობა ან მანქანა-დანადგარები საწარმო მიზნებისა და R&D აქსესუარები; რაც არ აჭარბებს პროექტის საერთო ბიუჯეტის 50%-ს. მხოლოდ სათანადოდ დასაბუთებულ შემთხვევებსა და პროექტისა და მისი შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, GITA-მ შეიძლება მიიღოს ხარჯები, რომლებიც აღემატება ზემოთაღნიშნულ ჭერს;
3. R&D მომსახურებები, სუბკონტრაქტორები[5];
4. R&D ექსპერტები/მრჩევლები;
5. პატენტის აპლიკაცია და საფასურები, სერთიფიკაციები.
6. ყველა სხვა ხარჯი, რომლებიც პირდაპირ გამომდინარეობს პროექტის მოთხოვნებიდან და არ ხვდება ქვემოთ წარმოდგენილი არამიზნობრივი ხარჯების სიაში.

აპლიკანტებმა, რომელთა დაფინანსებაც მოხდა ინოვაციების თანადაფინანსების გრანტებით, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად უნდა ისარგებლონ დამატებითი ღირებულების, მოგების და იმპორტის გადასახადებთან დაკავშირებული შეღავათებით.

**არამიზნობრივი ხარჯები**

ხარჯები, რომლებიც GITA-ს მიერ არ იქნება დაფინანსებაში გათვალისწინებული, მოიცავს:

1. ნებიესმიერი მხარისათვის გადასახდელი პროცენტიანვალი;
2. გაუთვალისწინებელი ხარჯები ან რეზერვები შესაძლო მომავალი დანაკარგებისა ანდავალიანებებისათვის;
3. დღგ-ს[6], მოგების და იმპორტის გადასახადი იმ შეღავათების შესაბამისად, რაც ბენეფიციარებისათვის არის გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამის მუხლებში.
4. ბიუჯეტის ის პუნქტები, რომელიც უკვე დაფინანსებულია სხვა სტრუქტურის, პროგრამის ან კომპანიის/დაწესებულების მეშვეობით (ორმაგი დაფინანსების თავიდან აცილება);
5. კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული დანაკარგები, აგრეთვე მოსაკრებლები და ჯარიმები;

[4] http://www.geostat.ge

[5] მესამე მხარესთან ყველა შეთანხმება უნდა მოიცავდეს დებულებას, რომ აპლიკანტი იტოვებს ახალი IP-ის და ნოუ-ჰაუს საკუთრების უფლებას, რაც შეიძლება შეიქმნას პროექტის იმპლემენტაციისას.

[6] დამატებითი ღირებულების გადასახადის შემთხვევაში, აპლიკანტ(ებ)მა, შემდგომში მოხსენიებული, როგორც ბენეფიციარ(ებ)მა შეიძლება გადაიხადონ დღგ გრანტის ფონდებიდან, თუმცა ამგვარი გადახდები ვერ მიეკუთვნება დასაშვებ ხარჯებს და ამგვარად, არ იქნება ჩართული ყოველკვარტალური ფინანსური ანგარიშის ხარჯების ნუსხაში.

6. გართობისადა წარმომადგენლობითი ხარჯები;
7. ადგილმონაცვლეობის ხარჯები ან შეწირულობები;
8. ზემოთ ჩამოთვლი პუნქტებთან ერთად, სავალდებულო შეზღუდვის სახით, სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოები (მაგ., ადაპტაცია, რემონტი და მშენებლობა), არ უნდა აღემატებოდეს პროექტის საერთო ბიუჯეტის 25%-ს და შეიძლება მხოლოდ დაფინანსებული იყოს თანადაფინანსების სახსრებიდან, აპლიკანტის მიერ.

არამიზნობრივი ხარჯების გარდა, აპლიკანტმა (თანააპლიკანტებმა, ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც შემდგომში მოიხსენიებიან როგორც ბენეფიციარ(ებ)ი, გადახდები არ უნდა განახორციელობ ნაღდი ანგარიშსწორებით. ბენეფიციარმა უნდა გადაიხადონ მხოლოდ ხარჯები, რომლებიც უკავშირდება პროექტის მიზნებს, პროექტისთვის გამოყოფილი საბანკო ანგარიშიდან.

### 2.4. მთავარი აპლიკანტის პასუხისმგებლობები

იმ შემთხვევაში, თუკი ინოვაციების თანადაფინანსების გრანტები და აპლიკაცია იგზავნება კონსორციუმის მიერ, მთავარი აპლიკანტი პასუხისმგებელი იქნება მთლიანი პროექტის მართვაზე და სამართლებრივად ვალდებულნი არიან დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებასთან მიმართებაში, თანააპლიკანტების სახელით. ქვემოთ წარმოდგენილია მთავარი აპლიკანტის პასუხისმგებლობათა არაამომწურავი ნუსხა, კონსორციუმის კონტექსტში:

- მთავარმა აპლიკანტმა უნდა შეათანხმოდ კონსორციუმის ხელშეკრულება ყველა თანააპლიკანტთან, რომლებიც კონსორციუმში არიან ჩართულები და მიაწოდოს GITA-ს ასლები, კონტრაქტის დადებამდე;
- მთავარი აპლიკანტი უნდა წარმოადგენდეს შუამავალს GITA-ს და დანარჩენ კონსორციუმს შორის და პასუხისმგებელი უნდა იყოს მათ შორის ყველა სახის კომუნიკაციაზე;
- მან სრული პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მთლიანი პროექტის იმპლემენტაციაზე, დაფინანსების ხელშეკრულების შესაბამისად;
- მთავარმა აპლიკანტმა უნდა მიიღოს, შეამოწმოს და მოახდინოს ინფორმაციის/თანააპლიკანტების მიერ გაგზავნილი ანგარიშების კონსოლიდაცია და გაუგზავნოს ისინი GITA-ს;
- მთავარმა აპლიკანტმა, კონსორციუმის სახელით, უნდა შეატყობინოს GITA-ს ნებისმიერი მოვლენის შესახებ, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ან გადადოს პროექტის იმპლემენტაცია.
- მან უნდა შეატყობინოს GITA-ს ნებისმიერი ცვლილების, მ.შ. თანააპლიკანტების სამართლებრივი, ფინანსური, ტექნიკური, ორგანიზაციული ან საკუთრების სიტუაციის შესახებ, მანამ, სანამ ეს ცვლილებები რაიმე გავლენას იქონიებს;
- იგი GITA-სგან წინასწარი ხარჯების ერთადერთი მიმღები იქნება, თუმცა, პასუხისმგებელი იქნება ამ ხარჯების თანააპლიკანტებს შორის გადანაწილებაზე,

პროექტით დამტკიცებული ბიუჯეტისა და კონსორციუმის ხელშეკრულებების გათვალისწინებით, დაუსაბუთებელი გადადების გარეშე;

- მისცეს თანადაფინანსების გრანტის ფონდების სწორი ფინანსური მართვის გარანტია, მთლიანი კონსორციუმის კონტექსტში, დარწმუნდეს, რომ თანააპლიკანტების მიერ წარმოდგენილი ხარჯები შეესაბამება პროექტის იმპლემენტაციის მიზნებს და მოახდინოს ნებისმიერი არასწორად გადახდული თანხის დაბრუნების ორგანიზება;
- მოახდინოს აქტივობათა ნაწილის დელეგირება თანააპლიკანტებისთვის, თუმცა პასუხისმგებელი იყოს ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიწოდებაზე, მთლიანი კონსორციუმის სახელით, აუდიტის შემოწმებებისა და M&E ვიზიტების დროს;
- ბენეფიციარს უფლება აქვს, მოახდინოს პროექტის მთლიანი დამტკიცებული ბიუჯეტის თხუთმეტ პროცენტამდე (15%) ცვლილება, ბიუჯეტის ძირითად კატეგორიებს შორის.

## 3. შესყიდვების პროცედურები

### 3.1. IBRD-ის სახელმძღვანელო პრინციპები

GITA რეკომენდაციას იძლევა, რომ საქონელი და არასაკონსულტაციო/საკონსულტაციო სერვისების კონტრაქტების შესწყიდვა მოხდეს მისაღები კომერციული პრაქტიკების თანახმად, რომელიც განისაზღვრება IBRD-ის შესყიდვებისა და კონსულტანტების გაიდლაინებით, რომლებიც ხელმისაწვდომია www.worldbank.org/procurement (http://go.worldbank.org/YZVQ9VQ490). აკრძალული ფირმების ნუსხა ხელმისაწვდომია: http://www.worldbank.org/debarr.

ბენეფიციარები ვალდებულები არიან გაეცნონ მსოფლიო ბანკის "გაიდლაინებს თაღლითობისა და კორუფციის პრევენციისა და ბრძოლის შესახებ, IBRD-ის სესხით და IDA-ის კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებული პროექტებისთვის, დათარიღებული 2006 წლის 15 ოქტომბრით და გადახედილია 2011 წლის იანვარში, რომელიც (ანტიკორუფციული გაიდლაინები) ხელმისაწვდომია:

http://siteresources.worldbank.org/INTLEGSTAFONLY/Resources/AnticorruptionGuidelinesOct2006RevisedJan2011.pdf

### 3.2. თაღლითობა და კორუფცია

GITA მოითხოვს, რომ გრანტების ბენეფიციარებმა, ისევე, როგორც მომწოდებლებმა და პროექტებში მონაწილე კონსულტანტებმა, დაიცვან უმაღლესი ეთიკური სტანდარტები, როგორც შერჩევის პროცესში, ისე კონტრაქტის აღსრულებისას. ამ პოლიტიკის დასაცავად, მსოფლიო ბანკი ადგენს შემდეგ პირობებს:

- "კორუფციული პრაქტიკა" არის რაიმე ღირებულის შეთავაზება, მიცემა, მიღება ან

შუამავლობა ამ თემაზე, რაც გავლენას მოახდენს მეორე მხარის ქმედებებზე;

- "თაღლითური პრაქტიკა" არის მოქმედება ან უმოქმედობა, არასწორი პრეზენტაციის ჩათვლით, რასაც ცნობიერად ან გაუფრთხილებლობით შეცდომაში შეჰყავს, ან ცდილობს შეცდომაში შეიყვანოს მხარე, რომ მან მიიღოს ფინანსური ან სხვა სახის სარგებელი ან თავიდან აირიდოს პასუხისმგებლობა;
- "კოლუზიური პრაქტიკა" არის ორი ან მეტი მხარის შეთანხმება, რომ მიაღწიონ არასწორ მიზანს, სხვა მხარის ქმედებებზე არასწორი გავლენის ჩათვლით;
- "ძალისმიერი პრაქტიკები" არის ზიანის მიყენება ან დაზიანება, ან ზიანის მიყენებაზე ან დაზიანებაზე მუქარა, პირდაპირ ან არაპირდაპირ, პიროვნულად ან მათ საკუთრებაზე, რათა გავლენა მოახდინონ შესყიდვების პროცესში მათ მონაწილეობაზე ან კონტრაქტის აღსრულებაზე;
- "ობსტრუქციული პრაქტიკა"

(ა) განზრახ განადგურება, ფალსიფიცირება, შეცვლა ან გამოძიების ნივთმტკიცების დამალვა ან გამოძიებისთვის ცრუ ჩვენების მიცემა, მსოფლიო ბანკის გამოძიების მატერიალურად დაბრკოლების მიზნით, კორუფციის, თაღლითობის, იძულების ან შეთქმულების პრაქტიკის იძულებისთვის; და/ან ნებისმიერ მხარესთან მიმართებაში მუქარა, შევიწროვება ან დაშინება, რათა თავიდან იქნას აცილებული ცნობილი საკითხების გამჟღავნება გამოძიებისთვის ან გამოძიებისგან დევნა, ან

(ბ) განზრახ იქცევა მსოფლიო ბანკის ინსპექციისა და აუდიტის უფლებების აღსრულების მატერიალურად განზრახ შეფერხებისთვის.

GITA მიისწრაფვის თაღლითობისა და კორუფციის ნებისმიერი პოტენციური პრობლემის აღმოფხვრისკენ და მსოფლიო ბანკს მხარს დაუჭერს იმ დებულებების განხორციელებაში, რომლებიც გაწერილია შესყიდვების გაიდლაინებსა (პუნქტი 1.16) და კონსულტანტთა გაიდლაინებში (პუნქტი 1.23). აპლიკანტის მიერ განცხადების პირობების მიღებამდე, მას ურჩევენ ყურადღებით წაიკითხონ მთლიანი დოკუმენტი და დაეკონტაქტონ GITA-ს, ნებისმიერი კითხვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

## 4. აპლიკაციის გაგზავნა

### 4.1. თანხმობა კონკურსის პირობებზე

აპლიკაციის პროცესის პირველი ეტაპი აპლიკანტისგან მოითხოვს აპლიკანტის განცხადების მიღებას, რათა GITA-მ მიიღოს და შეაფასოს აპლიკაცია. აპლიკანტის განცხადებისთვის, ასევე, შემუშავებულია აპლიკანტის განცხადება, რომელიც მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე თანხმობას:

• თანადაფინანსების გრანტების პირობები;

• საგრანტო დაფინანსების ხელშეკრულების პირობები

• ESMF-თან დაკავშირებული პირობა;

• კონფიდენციალურობის და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის პირობები;

• ინტელექტუალური საკუთრების და „ნოუ-ჰაუს“ მოთხოვნებთან დაკავშირებული პირობები;

• ანტიკორუფციული სახელმძღვანელოს პირობები[7].

### 4.2. IP-ის და ნოუ-ჰაუს მოთხოვნები

თუ შესაძლებელია, აპლიკანტს მოეთხოვება აჩვენოს IP-ისა და ნოუ-ჰაუს უფლებების შესახებ მტკიცებულება: ლიცენზირების ხელშეკრულების, ნატურით თანამონაწილეობის შესახებ ხელშეკრულების, ოფციონების ან სხვა სავაჭრო ვალდებულებების ხელშეკრულებების, (ასეთის არსებობის შემთხვევაში), და სხვა ხელშეკრულებების სახით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აპლიკანტი უფლებას ფლობს შემუშავებულ ტექნოლოგიებსა და დასრულებულ პროდუქტზე ან სერვისზე. ნებისმიერი ახალი IP და ნოუ-ჰაუ, რომელიც შეიძლება შეიქმნას პროექტის იმპლემენტაციის განმავლობაში, აპლიკანტს ეკუთვნის. აპლიკანტმა უნდა დაიცვას ამ IP-ისა ნოუ-ჰაუს უფლებები მესამე პირებთან დადებულ ხელშეკრულებებში.

### 4.3. აპლიკაციის ფორმები და მხარდამჭერი დოკუმენტები

წარდგენის ბოლო ვადამდე უნდა მოხდეს შემდეგი დოკუმენტაციის გაგზავნა, **ქართულად და ინგლისურად,** GITA-ის ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების ვებ-პორტალის მეშვეობით:

**საპროექტო განაცხადის დოკუმენტაცია**

- ბიზნეს-გეგმა - ინგლისურად და ქართულად; აპლიკანტ(ებ)ს მოეთხოვებათ GITA-ის მიერ მოწოდებული ნიმუშების გამოყენება (დანართი IMG1), რომელიც მოიცავს პროექტის კვარტალურ ეტაპებს;
- გარემოსდაცვითი შეფასების კითხვარი (ESQ) ინგლისურად და ქართულად (დანართი IMG2);
- პროექტის ბიუჯეტი ინგლისურად და ქართულად (დანართი IMG3);
- 3-წლიანი ფინანსური პროგნოზი ინგლისურად და ქართულად (დანართი IMG4);
- აპლიკანტის განცხადება, რომლის დადასტურებაც ელექტრონულად ხდება აპლიკაციის გაგზავნამდე გრანტების პორტალის მეშვეობით (დანართი IMG5).

**მხარდამჭერი დოკუმენტაცია:**

- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ბიზნესის რეგისტრაციის ფორმა, არაუძველეს ექვსი (6) თვისა, აპლიკაციის გაგზავნის მომენტისთვის, ქართულად, უნდა გაიგზავნოს თითოეული წევრის მიერ (აპლიკანტისა და თანააპლიკანტების მიერ, კონსორციუმის არსებობის შემთხვევაში);

[7] მსოფლიო ბანკის „გაიდლაინები თაღლითობისა და კორუფციის თავიდან აცილებისა და ბრძოლის შესახებ, IBRD-ის სესხებითა და IDA-ის კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებში, დათარიღებული 15 ოქტომბრით და გადახედილი 2011 წლის იანვარს“.

- საჯარო უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, სამეცნიერო აკადემიებმა და სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტებმა უნდა წარადგინონ შესაბამისი კანონი, რომელიც ამგვარი დაწესებულებების დაფუძნებას შეეხება;
- არსებული პერსონალის CV-ები და/ან TOR-ები[8] პროექტის საკვანძო პოზიციებისთვის (მაქსიმუმ 5), ინგლისურად და ქართულად;
- აპლიკანტის ბოლოდროინდელი ანგარიშები შემოსავლების სამსახურებიდან, ქართულად:
    a) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან, რომ აპლიკანტი არ წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელს
    ან

საგრანტო კონკურსის გამოქვეყნებამდე თორმეტი თვის განმავლობაში დეკლარირებული დღგ-ს ყოველთვიური დეკლარაციები.

დამატებითი მხარდამჭერი დოკუმენტები უნდა იყოს წარდგენილი შერჩეული აპლიკანტების მიერ, მოლაპარაკებების ეტაპის განმავლობაში:

- კონსორციუმის ხელშეკრულებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) – იხილეთ თავი 6.4
- ერთიანი პროექტისთვის სპეციალურად გამოყოფილი საბანკო ანგარიში (აპლიკანტისა და თანააპლიკანტებისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უახლესი საბანკო ამონაწერ(ებ)ი;
- თანადაფინანსების შესაბამისი მტკიცებულება, რაც მოიცავს, მაგრამ არ იზღუდება შემდეგით: ინვესტიციის კონტრაქტი (მაგ., კაპიტალური კონტრიბუციები), ხელშეკრულებები სესხზე (მაგ., კრედიტის ხელშეკრულებები ბანკებთან ან ფინანსურ ინსტიტუტებთან, სესხის ხელშეკრულებები), კომპანიის ნაღდი კონტრიბუცია (მაგ., ბოლოდროინდელი ბიზნესოპერაციების შედეგად მიღებული ნაღდი ფული, რაც ნაჩვენებია კომპანიის საშემოსავლო ანგარიშებსა და შესაბამისი საბანკო ანგარიშის ტრანზაქციებისა და ბალანსის შესახებ ინფორმაციის შესახებ). აპლიკანტებს სამი (3) თვე ეძლევათ GITA-სთვის ამგვარი მტკიცებულების მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.
- ასეთის საჭიროების შემთხვევაში, გარემოზე ზემოქმედების და სოციალური მართვის გეგმა (ESMP), (განისაზღვრება გარემოზე ზემოქმედების კითხვარის განხილვის შედეგად);
- IP-ისა და ნოუ-ჰაუს უფლებების შესახებ მტკიცებულება, რაც მოიცავს, მაგრამ არ იზღუდება ლიცენზირების ხელშეკრულებებით, ნატურით კონტრიბუციის ხელშეკრულებებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში ოფციონების ან სხვა სავაჭრო ვალდებულებების ხელშეკრულებებით, და სხვა ხელშეკრულებებით, რომლებიც ადასტურებენ, რომ აპლიკანტს ეკუთვნის ან აქვს უფლება, გამოიყენოს შემუშავებული ტექნოლოგია ან დასრულებული პროდუქტი ან სერვისი, თუ ხელმისაწვდომია;
- სხვა დოკუმენტები, GITA-ს მოთხოვნის შესაბამისად.

გაითვალისწინეთ, რომ ორივე შემთხვევაში, **ზოგიერთი დოკუმენტი შეიძლება მოთხოვნილი**

[8] თუკი ჯერ კიდევ არ არიან დაქირავებულნი

**იყოს ორიგინალში.**

### 4.4. აპლიკაციის წარდგენის ინსტრუქციები

აპლიკაციის მომზადებისას, გაითვალისწინეთ შემდეგი:

განიხილება მხოლოდ ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების ვებ-პორტალის (www.grants.gov.ge) მეშვეობით გაგზავნილი აპლიკაციები. ინოვაციების თანადაფინანსების საგრანტო პროგრამაში მონაწილეობისთვის, აპლიკანტი უნდა დარეგისტრირდეს ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების ვებ-პორტალზე, და შეავსოს აპლიკანტის სარეგისტრაციო ფორმა, რომელიც ასახავს ძირითად დეტალებს კომპანიის შესახებ, მაგ., საიდენტიფიკაციო კოდი, სამართლებრივი ფორმა, მისამართი, საკონტაქტო პიროვნების დეტალები და სხვ., თუ შესაძლებელია, უნდა შეივსოს ინფორმაცია თანააპლიკანტების შესახებ, რომლებიც შედიან კონსორციუმში.

აპლიკაციის შეცვლა შეუძლებელია მისი გაგზავნის შემდეგ; თუმცა, აპლიკანტებს რეკომენდაციას უწევენ, არ გააგზავნონ აპლიკაცია მანამ, სანამ კარგად არ დარწმუნდებიან, რომ ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ვებ-პორტალი აპლიკანტებს აძლევს „შენახვის“ ფუნქციას, რათა აპლიკანტმა შეძლოს აპლიკაციის შეცვლა გაგზავნამდე;

განაცხადს მიენიჭება უნიკალური ნომარი. როდესაც აპლიკაცია გაიგზავნა, თუ განაცხადს არ მიენიჭა აღნიშნული ნომერი ამ შემთხვევაში აპლიკანტი უნდა დაეკონტაქტოს GITA-ის ელ-ფოსტაზე, რომელიც წარმოდგენილია IMG-ის ვებ-პორტალზე. აპლიკაციის უნიკალური ნომერი გამოყენებული იქნება აპლიკანტსა და სააგენტოს შორის კომუნიკაციის დროს.

განსახილველად მიღებული იქნება მხოლოდ სრულყოფილი აპლიკაციები. თუმცა, აპლიკანტებს შეიძლება მოსთხოვონ კონკრეტული ინფორმაციის და გაგზავნილი დოკუმენტაციის დაზუსტება, რათა მოხდეს შესაძლო დისკვალიფიკაციის თავიდან აცილება საწყის ეტაპებძე, რაიმე ადმინისტრაციული პრობლემის გამო. აპლიკანტის პასუხისმგებლობაა, დარწმუნდეს, რომ ყველა შესაბამისი დოკუმენტი ატვირთულია ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების ვებ-პორტალის შესაბამის სექციებში.

აპლიკაციების გაგზავნა შეიძლება ნებისმიერ დროს (მიმდინარე პერიოდში), განცხადებების მიღების შესახებ პირველი გამოცხადების შემდეგ. მოსალოდნელია, რომ პირველადი განხილვისა და შეფასების პროცესი დაიწყება პირველი გამოცხადებიდან 8-12 კვირის შუალედში, რაც, გარკვეულწილად, დამოკიდებულია მიღებული აპლიკაციების რაოდენობაზე. განხილვისა და შეფასების პროცესი საშუალოდ 3 თვეში ერთხელ მოხდება, პირველადი განხილვისა და შეფასების შემდეგ.

**აპლიკაციებისა და გრანტების რაოდენობა ერთ აპლიკანტზე**

IMG პროგრამის ფარგლებში, აპლიკანტს შეუძლია ერთზე (1) მეტი აპლიკაცია შეავსოს, სხვადასხვა რაუნდის განმავლობაში. აპლიკანტს შეუძლია მიიღოს ერთზე (1) მეტი გრანტი, IMG პროგრამის სხვადასხვა რაუნდის განმავლობაში. თუმცა, საერთო ჯამში, მთლიანი IMG

პროგრამის განმავლობაში, ერთ აპლიკანტს/თანააპლიკანტს არ შეუძლია 650,000 ლარზე მეტის მიღება. მთავარი აპლიკანტი ერთდროულად შეიძლება წარმოადგენდეს სხვა აპლიკაციის თანააპლიკანტს. თანააპლიკანტი შეიძლება წარმოადგენდეს ერთზე (1) მეტი აპლიკაციის წარმომადგენელს, IMG პროგრამის ფარგლებში. თუმცა, მთლიანი IMG პროგრამის განმავლობაში, ერთ თანააპლიკანტს არ შეუძლია მიიღოს 650,000 ლარზე მეტი. თანააპლიკანტი ერთდროულად შეიძლება წარმოადგენდეს სხვა აპლიკაციის აპლიკანტს.

დასაშვებია მოდიფიცირებული და გაუმჯობესებულია აპლიკაციები. თუმცა, აპლიკანტს შეუძლია ერთი და იგივე აპლიკაციის გაგზავნა მხოლოდ ერთხელ. აპლიკაცია, რომელიც აგრძელებს ნებისმიერ სხვა აპლიკაციას (მგ., ეფუძნება იმავე ან მსგავს ინოვაციურ ტექნოლოგიას, პრიდუქტს ან სერვისს და ბიზნეს-გეგმას), რომელიც წინა ჯერზე გაიგზავნა GITA-ში, არ განიხილება დაფინანსებაზე.

## 5. პროექტის შეფასება და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება

შეფასების პროცესი შედგება განაცხადების ტექნიკური და ხარისხობრივი შეფასებისგან, რაც GITA-ს ეხმარება, აირჩიოს საუკეთესო შესაძლო პროექტები, მიღებული განაცხადებიდან.

### 5.1. ტექნიკური შემოწმება

გაგზავნის შემდეგ, განაცხადები მიმდინარე პერიოდში მიიღება ტექნიკური შემოწმებისთვის თითოეული განაცხადი, პირველ რიგში, შემოწმდება გარემოსა და სოციალურ შესაბამისობაზე.

**გარემოს მიმოხილვა** შეამოწმებს შემოთავაზებული პროექტის ბუნებასა და ტიპს, აკრძალულ საქმიანობათა ნუსხასთან მიმართებაში, რომელიც წამოდგენილია ESMF-ის II დანართში და განხორციელდება შემოთავაზებული აქტივობების გარემოს კლასიფიკაცია, ESMF-სა და მსოფლიო ბანკის OP 4.01 გარემოს შეფასების მიხედვით.

თითოეულ აპლიკანტს მოეთხოვება **ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების (ESCQ)** შევსება - ESMF-ის დანართი I (იხილეთ ამ სახელმძღვანელოს **დანართი IMG2**) და ჩართულია აპლიკაციაში. აპლიკანტის პასუხისმგებლობა იქნება მისი საწარმოს ამჟამინდელი გარემოს შესრულების და შემოთავაზებული აქტივობების შესაძლო დადებითი და უარყოფითი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების გავლენების დეტალური აღწერა. GITA-ის გარემოს დაცვის სპეციალისტი განიხილავს შევსებულ ESCQ-ებსა და თანდართული ლიცენზიების/ნებართვების ასლებს, კითხვარში წარმოდგენილი ინფორმაციის დასადასტურებლად.

ნებისმიერი შემოთავაზებული პროექტი, რომელიც შეიცავს აქტივობებს, რომლებიც წარმოდგენილია აკრძალულ საქმიანობათა ნუსხაში, ან ემთხვევა გარემოზე ზემოქმედების A

კატეგორიას[9], უარყოფილი იქნება ტექნიკური შემოწმების ეტაპზე. C კატეგორიის[10] აქტივობები არ საჭიროებენ შემდგომ გარემო სამუშაოებს.

GITA მოახდენს აპლიკანტების ინფორმირებას, რომელთა პროექტებიც ემთხვევა B კატეგორიას[11], რომ მათ სჭირდებათ ESMP-ების შემუშავება მოლაპარაკებების ეტაპის განმავლობაში. აპლიკანტის პასუხისმგებლობაა ESMP-ის მომზადება და მისი გაგზავნა დადგენილ ვადებში, GITA-ის მიერ შეტყობინების შემდეგ. ESMP-ს შინაარსის მომზადების სახელმძღვანელო პრინციპები წარმოდგენილია პროექტის GENIE ESMF-ში, ამ სახელმძღვანელოს **დანართში IMG2**. თუ პროექტი საჭიროებს ESMP-ს და აპლიკანტი დადგენილ ვადებსა და დამაკმაყოფილებელი ფორმით ვერ წარუდგენს მას GITA-ს, აპლიკაცია არ იქნება მიღებული დაფინანსებისთვის.

ის აპლიკაციები, რომლებიც გადალახავენ ტექნიკური შემოწმების პირველ ეტაპს, გაივლიან შემოწმებას **ადმინისტრაციულ და საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან შესატყვისობაზე**, სადაც აპლიკაციები შემოწმდება გაგზავნილი დოკუმენტების სისრულეზე და საკვალიფიკაციო კრიტერიუმებთან შესატყვისობაზე ამ სახელმძღვანელოს პირობების თანახმად.

ამ ეტაპზე, აპლიკაცია შეიძლება იყოს უარყოფილი და აღარ შეფასდეს, თუკი არ კმაყოფილდება შემდეგი კრიტერიუმები:

- საპროექტო განაცხადის დოკუმენტებისა და თანმხლები დოკუმენტების სრული კომპლექტი, რომლებიც ჩამოთვლილია ამ სახელმძღვანელოს თავში 4.3 (სააპლიკაციო ფორმები და თანმხლები დოკუმენტები).

- თუკი არ კმაყოფილდება ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ნებისმიერი დასაშვებობის კრიტერიუმი.

ტექნიკური შემოწმების ბოლო ეტაპი ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების განხილვას, და შემოწმებას ახორციელებს“საქპატენტის”. აპლიკაციის უარყოფა არ მოხდება IP შემოწმების შედეგად. IP განხილვა მკაცრად საკონსულტაციო ხასიათისაა. IP მიმოხილვის მიზანია 1) პროექტში ჩართული გამოგონების დაპატენტების შესაძლებლობის შეფასება და 2) იმის შემოწმება, არის თუ არა მესამე პირის მიერ პატენტის დარღვევის რისკი, პროექტის იმპლემენტაციის ფაზაში.

მხოლოდ სრულად შევსებული და ელექტრონულად გაგზავნილი აპლიკაციები განიხილება შემდგომი შეფასებისთვის. თუ შესაძლებელია, და დამატებით მოძიებული ინფორმაციის

[9] შემოთავაზებული აქტივობა მიეკუთვნება A კატეგორიას, თუკი მას აქვს მნიშვნელოვანი არასასურველი ზეგავლენა გარემოზე, რომლებიც კომპლექსური, შეუქცევადი და უპრეცენდენტოა.

[10] შემოთავაზებული აქტივობა მიეკუთვნება C კატეგორიას, თუკი მისგან არაა მოსალოდნელი რაიმე პოტენციური არასასურველი გავლენები გარემოზე.

[11] შემოთავაზებული აქტივობა მიეკუთვნება B კატეგორიას, თუკი მისი პოტენციური არასასურველი გავლენები გარემოზე, ადამიანების პოპულაციებზე ან გარემოსთვის მნიშვნელოვან უბნებზე, როგორებიცაა ჭაობები, ტყეები, მინდვრები და სხვა ბუნებრივი გარემოები, ნაკლებად არასასურველია, ვიდრე A კატეგორიის პროექტებში. ეს გავლენები ადგილ-სპეფიციკურია; მათგან ცოტაა შეუქცევადი; და ამ შემთხვევების უმრავლესობის შერბილების საშუალებების შემუშავება უფრო მარტივია, ვიდრე A კატეგორიის პროექტების შემთხვევაში.

მიხედვით, აპლიკანტებს შეიძლება მიეცეთ 5-დან 10 კალენდარულ დღემდე, რათა დააზუსტონ GITA-ის მიერ მოთხოვნილი საკითხი, მისი სირთულის მიხედვით. თუკი ზემოთ აღნიშნული ვადების დაცვა არ მოხდება, GITA უფლებას იტოვებს, არ განიხილოს აპლიკაცია შემდეგი შეფასებისთვის. აპლიკანტებს ტექნიკური შემოწმების შესახებ შეატყობინებენ ელ-ფოსტით და ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების ვებ-პორტალის მეშვეობით.

აპლიკაციები, რომლებმაც გადალახეს ეს ეტაპი, გაივლიან ხარისხობრივი შეფასების პროცესს, რომელიც ორი ეტაპისგან შედგება, როგორებიცაა ექსპერტული შეფასება და საინვესტიციო კომიტეტის მიერ განხილვა. ხარისხობრივი შეფასების პროცესი შეიძლება განხორციელდეს აუთსორსზე დაქირავებული საკონსულტაციო კომპანიის მიერ, რომელიც ჩართულია GITA-ს მიერ, ინდივიდუალური ექსპერტების, ან ამ ორის კომბინაციის შედეგად. გასათვალისწინებულია, რომ ხარისხობრივ შეფასებას დასჭირდება 45 კალენდარულ დღემდე.

### 5.2. წინასწარი შეფასება

თითოეული აპლიკაცია, რომელიც აკმაყოფილებს ტექნიკური შემოწმების კრიტერიუმებს, შეფასდება ორი მიუკერძოებელი საერთაშორისო ექსპერტის მიერ. პირველ ექსპერტს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო/ტექნიკური დარგის უნარები და ექსპერტიზა, შესაფასებელ განაცხადებთან მიმართებაში, მაშინ, როდესაც მეორე ექსპერტს უნდა ჰქონდეს ბიზნესის/ბაზრის ცოდნა და განაცხადების შესაბამისი გამოცდილება.

თითოეულ ექსპერტს უნდა ჰქონდეს უმაღლესი სტანდარტები, რომლებიც გამორიცხავს რაიმე სახის კავშირს აპლიკანტებთან, თანამშრომლის კონსულტანტის, ნათესავის, პოლიტიკური ან ბიზნეს-აფილირების ჩათვლით. ექსპერტობის თითოეულმა კანდიდატმა წინასწარ უნდა განაცხადოს ნებისმიერი გაცნობიერებული, პოტენციური ან რეალური ინტერესთან კონფლიქტის შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ობიექტურობაზე. თითოეული ექსპერტი შეაფასებს განაცხადს შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებაში, წარმოადგენს როგორც ქულებს, ისე განაცხადის ნარატიული ნაწილის სიძლიერესა და სისუსტეებს და ასახავს ნებისმიერ საკითხს, რომლებიც უნდა დაზუსტდეს აპლიკანტთან ინტერვიუმდე.

<u>**შეფასების კრიტერიუმები და ქულების მინიჭების პრინციპები:**</u> ექსპერტები შეაფასებენ თითოეულ განაცხადს შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილში 2. ისინი შეაფასებენ განაცხადს და მიანიჭებენ 1-დან 5-მდე ქულას თითოეული კრიტერიუემისთვის, შემდეგი ქულათა სისტემის მიხედვით -- 1 აღნიშნავს სუსტს, 2 - დამაკმაყოფილებელს, 3 - საშუალოს, 4 - ძლიერს, 5 – შესანიშნავს. განაცხადმა თითოეული ექსპერტისგან შეიძლება მიიღოს ჯამში 35 ქულა. განაცხადების ეს ქულები, შესაბამის განმარტებით ნარატივებთან ერთად, წარდგენილი იქნება საინვესტიციო კომიტეტის (IC) წევრებისთვის, რათა შეუდგნენ შეფასების პროცესს.

**ცხრილი 2 – შეფასების კრიტერიუმები**

| | |
|---|---|
| **მენეჯმენტისა და ძირითადი პერსონალის უფლებამოსილებანი და კომპანიის (კონსორციუმი) შესაძლებლობები ამის მისაწოდებლად** | • მენეჯმენტის გუნდსა და საკვანძო პერსონალს აქვს სათანადო უნარები, განათლება, ცოდნა და სამუშაო გამოცდილება წარმოდგენილი პროექტის განსახორციელებლად? |
| **ტექნოლოგიის, პროდუქტის ან სერვისის ინოვაციურობა; ნათელი IP პოზიცია და პოტენციალი** | • განაცხადი გამოიწვევს არსებული ტექნოლოგიების, პროდუქტების ან სერვისების გაუმჯობესებას?<br>• რა დონეზე ახდენს განაცხადი უნიკალური კონცეფციების ან გამოყენების შემოთავაზებას ან კვლევას?<br>• იწვევს თუ არა განაცხადი ტექნოლოგიების შექმნას, რომლებიც შემდგომ აღმოჩენებს გამოიწვევს?<br>• შემოთავაზებულ ტექნოლოგიას, პროდუქტს ან სერვისს აქვს ახალი IP-ის შექმნის პოტენციალი?<br>• აპლიკანტი ფლობს სრულ მესაკუთრეობას/უფლებებს, რათა განავითაროს და გამოიყენოს შემუშავებული ტექნოლოგია/პროდუქტი ან სერვისი? |
| **ბაზრის ნათელი საჭიროება, კონკურენტული (სასურველია, გლობალური) პოზიცია და კომერციალიზაციის პოტენციალი** | • შემოთავაზებულ მიდგომას აქვს პოტენციალი, რომ შექმნას ბაზარზე გასატანი ტექნოლოგია, პროდუქტი ან პროცესი?<br>• რა არის ამ ტექნოლოგიის, პროდუქტის ან პროცესის სპეციფიკური ბაზარი? იგი მზარდი ბაზარია? შესაძლებელია მომხმარებლების განსაზღვრა?<br>• ამ ტექნოლოგიის კონკურენტული უპირატესობის შეფასება ალტერნატიულ ტექნოლოგიებთან მიმართებაში, რომელსაც მსგავსი საბაზრო საჭიროებები შეიძლება ჰქონდეს.<br>• ტექნოლოგია, პროდუქტი ან პროცესი კონკურენტუნარიანია და რა არის კონკურენტული საფრთხეები?<br>• უპირატესობა უნდა მიენიჭოს გლობალურად კონკურენტუნარიან ტექნოლოგიებს, პროდუქტებსა და სერვისებს. |
| **შემოსავლის გენერირების პოტენციალი, პროექტის დაწყებიდან ორიდან სამი (2-3) წლის ვადაში** | • შემოთავაზებულ ტექნოლოგიას, პროდუქტს ან პროცესს აქვს შემოსავლის გენერირების პოტენციალი, პროექტის იმპლემენტაციიდან 1-2 წელიწადში?<br>• სამიზნე ბაზრის შეფასება რეალისტურია და ვინ იქნებიან ძირითადი კონკურენტები? |

| | |
|---|---|
| **სიცოცხლისუნარიანი იმპლემენტაციის მეთოდოლოგია და შესაძლებლობები, და პროექტის ეტაპები** | • წარმოადგენს კი შემოთავაზებული გეგმა გონივრულ მიდგომას, რომელიც მიიყვანს კომერციალიზაციამდე?<br>• საერთო მეთოდოლოგია და აქტივობები კარგაადა დასაბუთებული და შეესაბამება ტექნოლოგიის, პროდუქტის ან პროცესის შემოთავაზებული შემუშავებისთვის?<br>• არის რესურსებზე სათანადო წვდომა (მასალები და მარაგები, ანალიტიკური სერვისები, აღჭურვილობა, ობიექტები, და სხვ.), რათა პროექტი წარმატებულ შედეგამდე მიიყვანონ?<br>• პროექტის ეტაპები კარგად განსაზღვრული, რეალისტური და გაზომვადია? |
| **ფონდების გამოყენება და პროექტის ბიუჯეტის ადექვატურობა** | • ბიუჯეტის ელემენტები შეესაბამება შემოთავაზებულ აქტივობებს (მაგ. სამუშაო საათები, მასალები)?<br>• შემოთავაზებული ხარჯები რეალისტურია?<br>• ბიუჯეტში რაიმე ცვლილებას ან შესწორებას მოჰყვება სასარგებლო შედეგები (მაგ. მეტი ფონდების გადატანა IP-ის დაცვისთვის, საკონსულტაციო ხარჯების შემცირება)? |
| **რისკის მართვის ტექნოლოგია და იმპლემენტაცია** | • პრობლემების, რისკებისა და შემოთავაზებული გადაჭრის გზების პოტენციური იმპლემენტაცია კარგადაა განსაზღვრული და შემცირებული?<br>• შემოთავაზებული მიდგომა ამყარებს მიზანშეწონილობას და უფრო მაღალი რისკის მქონე ასპექტების მართვა სათანადოდ მოხდება? |

### 5.3. საინვესტიციო კომიტეტის მიერ განხილვა

საინვესტიციო კომიტეტი (IC) შედგება 3-5 მიუკერძოებელი საერთაშორისო ექსპერტისგან. IC-ის წევრებს უნდა ჰქონდეთ პატიოსნების უმაღლესი სტანდარტები, რაც გამორიცხავს რაიმე საეჭვო კავშირს აპლიკანტებთან, თანამშრომლობის, კონსულტანტის, ნათესავის, პოლიტიკური ან ბიზნეს-აფილირების ჩათვლით. მათ უნდა ჰქონდეთ ექსპერტიზა საერთაშორისო ბიზნესში, საინვესტიციო სტრატეგიაში, ინოვაციურ R&D-ში, პროდუქტის შემუშავებასა და კომერციალიზაციაში. ასევე, მათ არ უნდა ჰქონდეთ ხანგრძლივი აფილირება (მაგ., მენეჯმენტი, პერსონალი, მრჩეველი, ინვესტორი, და სხვ.) ორგანიზაციებთან, რომლებიც ზედამხედველობენ ან მართავენ განხილვისა და შეფასების პროცესთან.

პირველ რიგში, IC განიხილავს თითოეული ექსპერტის მიერ მინიჭებულ ქულებს, განმარტებით ნარატივთან ერთად და შეაფასებს თითოეულ განაცხადას შეფასების იმავე კრიტერიუმებთან მიმართებაში, რომლებიც გამოყენებული იყო ექსპერტების მიერ. ამის შემდეგ, IC გადაწყვეტს, რომელი აპლიკაცია გადავა შეფასების მესამე და საბოლოო ეტაპზე, ანუ, პროექტების მოკლე ნუსხაში, საბოლოო შეფასებისთვის. აპლიკანტებს, რომლებიც ვერ მოხვდებიან საბოლოო ნუსხაში, GITA შეატყობინებს ამის შესახებ.

მოკლე ნუსხაში მოხვედრილ აპლიკანტებს მიიწვევენ დახურულ პრეზენტაციებზე / ინტერვიუებზე, საინვესტიციო კომიტეტის წინაშე. აპლიკანტები მზად უნდა იყვნენ ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გასაცემად, რომლებიც მათ განაცხადას უკავშირდება ან წარმოადგინონ დამატებითი ინფორმაცია, თუკი ამას IC მოითხოვს. ინტერვიუებისა და ყველა შესაბამისი მხარდამჭერი ინფორმაციის საფუძველზე, IC მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას თითოეული გამოკითხული აპლიკანტის დაფინანსების შესახებ. მოკლე ნუსხაში მოხვედრილ აპლიკანტებს შეატყობინებენ შერჩევის პროცესის შედეგების შესახებ და შერჩეული პროექტები გამოქვეყნდება GITA-ისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდებზე. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების შემდეგ, მოხდება შერჩეული აპლიკანტების მიწვევა მოლაპარაკებებისა და დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების ხელის მოსაწერად.

### 5.4. მოლაპარაკებები და გრანტების გადაცემა

დაფინანსებაზე განაცხადების აპლიკანტების ადგილზე შემოწმება შეიძლება მოხდეს GITA-ს მიერ, მხოლოდ მისი გადაწყვეტილების საფუძველზე (მაგ. სპეციალიზირებული ტექნიკური პერსონალის მიერ, როგორიცაა, მაგალითად, გარემოს სპეციალისტი) რათა მოხდეს აპლიკაციასა და გაგზავნილ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ინფორმაციის შემოწმება. ამ ეტაპების შემდეგ, დაფინანსებაზე წარდგენილი თითოეული აპლიკანტი მიწვეული იქნება GITA-სთან საკონტრაქტო მოლაპარაკებების წარმოებისთვის. ამ მოლაპარაკებების მიზანია ნებისმიერი ორაზროვანი საკითხის აღმოფხვრა, რომლებიც შეიძლება აღმოცენდეს შეფასების დროს და მიღებულ იქნეს განაცხადების ნებისმიერი ცვლილებები. მოლაპარაკებები შეიძლება ეხებოდეს ბიუჯეტს (მიზნობრივ ხარჯებთან მიმართებაში) და განცხადების ინსტიტუციურ, ტექნიკურ, IP ან სამართლებრივ ასპექტებს. ამ სახელმძღვანელოს 4.3 თავში წარმოდგენილი დოკუმენტები მოთხოვნილი იქნება შერჩეული აპლიკანტებისგან.

კონსორციუმის მიერ განხორციელებული პროექტებისთვის, მოთხოვნილი იქნება კონსორციუმის ხელშეკრულებები, როგორც კი მოხდება მოლაპარაკებებში მონაწილეობისთვის მიწვევა (რათა დასრულდებს დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერამდე). მთავარმა აპლიკანტმა და თითოეულმა თანააპლიკანტმა უნდა განსაზღვროს, თანააპლიკანტების შესაბამისი უფლებები და მოვალეობები, როგორებიცაა:

კონსორციუმი ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მთავარ აპლიკანტსა და თანააპლიკანტ(ებ)ს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შორის, უნდა ფარავდეს შემდეგ პუნქტებს

- კონსორციუმის თითოეული წევრის მიერ განსახორციელებელი აქტივობები და მათი ვადები;
- გადახდის პირობები;
- თანააპლიკანტების კონტრიბუციები, პროექტის წარმატებით რეალიზაციისთვის;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, კერძოდ, წვდომა მანამდე არსებულ ნოუ-ჰაუზე, ცოდნის გამოყენებაზე, საჯაროობასა და კონფიდენციალურობაზე;
- მთავარი აპლიკანტი უნდა დარწმუნდეს, რომ განმახორციელებელი სააგენტოს მიმართ თანააპლიკანტებს ავალდებულებთ იგივე წესები და პირობები, როგორც თავად მთავარ აპლიკანტს.

## 6. პროექტის იმპლემენტაცია და მონიტორინგი

### 6.1. პროექტის იმპლემენტაცია

დაფინანსების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მთავარი აპლიკანტი განისაზღვრება როგორც ბენეფიციარი და თანააპლიკანტები - როგორც თანაბენეფიციარები, ერთობლივად მოხსენიებულნი, როგორც ბენეფიციარები. ბენეფიციარს მოეთხოვება პროექტის საგულდაგულოდ და ეფექტურად განხორციელება, ინოვაციების თანადაფინანსების საგრანტო პროგრამისა და დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების პირობებისა და ჯანსაღი ეთიკური, ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, მენეჯერული, გარემოსა და სოციალური სტანდარტებისა და პრაქტიკების მიხედვით. ბენეფიციარს მოეთხოვება პოლიტიკისა და პროცედურების შენარჩუნება, რომლებიც GITA-ს (და მსოფლიო ბანკს) სათანადო შესაძლებლობას მისცემს, მოახდინოს პროექტის პროგრესისა და მიზნების მიღწევის მონიტორინგი და შეფასება.

ბენეფიციარს მოეთხოვება, პროექტი განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო-პროგრამისა და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის (საჭიროების შემთხვევაში) დებულებების მიხედვით და დროულად მიიღოს ზომები, რათა GITA-ს მისცეს შესაძლებლობა, მოახდინოს გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის დებულებების მონიტორინგი.

ბენეფიციარმა დაფინანსება უნდა გამოიყენოს პროექტის დამტკიცებული ბიუჯეტის თანახმად, შეინარჩუნოს ფინანსური მართვის სისტემა და მოამზადოს კვარტალური ფინანსური ანგარიშები, თანმიმდევრულად გამოყენებული ბუღალტრული სტანდარტების თანახმად, სალაროს საფუძველზე, როგორც პროექტთან დაკავშირებული ადექვატური ოპერაციების, რესურსებისა და ხარჯების ასახვის ფორმით.

ბენეფიციარმა ყოველკვარტალურად უნდა გააგზავნოს პროექტის ფინანსური ანგარიში, ხარჯების შესახებ განცხადის (SOE), შესაბამისი ანგარიშებიდან ამონაწერების (**დანართი IMG6a**), შესაბამისი ანგარიშიდან საბანკო ამონაწერის, ასევე შესაბამისი ქვითრებისა და ინვოისების ასლების ჩათვლით, რათა მოხდეს GITA-ის შესაბამისი კადრების მიერ გადამოწმება. ბენეფიციარმა, ასევე, უნდა გააგზავნოს კვარტალური პროგრესის ანგარიშები, რომელსაც განიხილავენ ფინანსური ანგარიშების პარალელურად **(დანართი IMG6b)**. ეს კვარტალური პროგრესის ანგარიშები მოიცავს ინფორმაციას პროექტის პროგრესის შესახებ, ტექნიკური, საოპერაციო, IP და სხვა ეტაპების, ასევე, წარმოშობილი პრობლემების, მათი მოგვარების საშუალებებისა და წინსვლისთვის საჭირო რაიმე ცვლილებების მიხედვით.

ბენეფიციარი GITA-ს, მსოფლიო ბანკს, და/ან GITA-ის მიერ დანიშნულ პირებს ან აუდიტორებს მისცემს უფლებას, დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, მოახდინონ მისი ანგარიშებისა და ჩანაწერების, ასევე, პორექტთან და მის შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტის ინსპექტირება და აუდიტი. ამ ვალდებულების შესრულების ნებისმიერი ჩავარდნა შეიძლება წარმოადგენდეს აკრძალულ პრაქტიკას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს GITA-ის მიერ დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების დასრულება.

ბენეფიციარს მოეთხოვება პროექტის იმპლემენტაცია საპროექტო განაცხადის შესაბამისად. საპროექტო განაცხადიდან ნებისმიერმა მნიშვნელოვანმა გადაცდომამ შეიძლება გამოიწვიოს პროექტის დასრულების გადადება, საპროექტო განაცხადში წარმოდგენილი ვადების ფარგლებში ან როდესაც იცვლება წინასწარგანცხადებული ეტაპები, საჭიროებს GITA-სგან წინასწარ წერილობით თანხმობას. ამგვარი მოთხოვნები დაკმაყოფილდება მხოლოდ გამონაკლის და კარგად დასაბუთებულ გარემოებებში და სათანადოდ უნდა იყოს დადასტურებული, რათა მოხდეს მათი გათვალისწინება.

ბენეფიციარმა, ასევე, GITA-ს უნდა წარუდგინოს პერიოდული ყოველწლიური განახლებები პროექტის დასრულებიდან ხუთ (5) წლამდე ვადაში, რაც ფარავს პროექტის განხორციელების საზომის ძირითად ელემენტებს (მაგ., პროექტის მიზნების მიღწევა) და ფინანსური ინფორმაცია, GITA-ს მიერ მოთხოვნილ ფორმატში. ბენეფიციარს შეიძლება მოსთხოვონ GITA-ს მიერ ორგანიზებულ თემატურ შეხვედრებში მონაწილეობა და აუდიტორიისთვის შედეგების ან წარმატების შესახებ ისტორიების წარდგენა.

ბენეფიციარი უნდა დარწმუნდეს, რომ კონსორციუმის ყველა წევრი იცავს დაფინანსების ხელშეკრულებაში და ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების სახელმძღვანელოში წარმოდგენილ წესებს. ბენეფიციარი პასუხისმგებელია კონსორციუმის სახელით ანგარიშგებაზე, შესაბამისად, GITA-სთვის წარდგენილი ანგარიშები უნდა მოიცავდეს კონსოლიდირებულ ინფორმაციას კონსორციუმის წევრის ყველა ბენეფიციარისთვის (ამ სახელმძღვანელოს თავი 2.4).

### 6.2. გადახდები

ბენეფიციარმა (და თანაბენეფიციარებმა, ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გახსნან შესაბამისი საბანკო ანგარიში, რომელიც მხოლოდ პროექტის მიზნებით იქნება გამოყენებული, GITA-ს გადარიცხვები, ბენეფიციარის შესაბამის თანხებთან ერთად (თანადაფინანსება), ამ ანგარიშზე იქნება განთავსებული. ამ პროექტის ფარგლებში არსებული ყველა გადახდა განხორციელდება ამ კონკრეტული საბანკო ანგარიშის მეშვეობით. ნაღდი ანგარიშსწორება დაუშვებლად მიიჩნევა.

გრანტის ფონდები ბენეფიციარს გადაეცემა კვარტალურ ტრანშებად; თანხის მოთხოვნის განაცხადი (**დანართი IMG7**) ბენეფიციარის მიერ გამოყენებული იქნება GITA-სგან გრანტის ტრანშების მოსათხოვად. პირველი ჩარიცხვა ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე განხორციელდება დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე; თუმცა, ყოველი შემდგომი ტრანში განხორციელდება წინა საანგარიშო პერიოდის პროგრესისა და ფინანსური ანგარიშების საფუძველზე. კონსორციუმის მიერ განხორციელებული პროექტებისთვის, ბენეფიციარი პასუხისმგებელია შესაბამისი ფონდების თანაბენეფიციარებისთვის ალოკაციაზე.

ფინანსური ანგარიში (**დანართი IMG6a**), SOE-ის, საბანკო ანგარიშიდან ამონაწეის ჩათვლით, რომელსაც თან ახლავს დოკუმენტები და საბანკო ამონაწერები, განხილული და დაზუსტებული იქნება GITA-ის შესაბამისი პერსონალის მიერ, შემდეგი ტრანშის გაცემამდე.

თითოეული გადარიცხვის წინ, ბენეფიციარმა, პროგრესისა და ფინანსური ანგარიშების გარდა, უნდა გააგზავნოს საბანკო ანგარიშიდან ამონაწერი, რომელიც აჩვენებს, რომ ბენეფიციარმა შესაბამის ანგარიშზე განათავსა თანადაფინანსების თავისი წილი, რომელიც საკმარისია GITA-სგან შესაბამისი წინასწარი გადარიცხვის განსახორციელებლად. თითოეულ გადახდამდე, პროექტის კვარტლის ბოლო დღიდან, ორი (2) კვირის განმავლობაში, ბენეფიციარმა უნდა გააგზავნოს აუცილებელი პროგრესისა და ფინანსური ანგარიშები, სხვა აუცილებელ დოკუმენტაციასთან ერთად.

ანგარიშების განხილვასა და დამტკიცებას დასჭირდება დაახლოებით ოთხი (4) კვირა და შეიძლება წარმოადგენდეს ადგილზე ვიზიტის საგანს, როგორც აღწერილია თავში 6.3.

ბენეფიციარს უფლება აქვს, მოახდინოს დაახლოებით თხუთმეტ პროცენტამდე (15%) ცვლილება პროექტის საერთო დამტკიცებული ბიუჯეტიდან, ბიუჯეტის ნებისმიერ ძირითად კატეგორიას შორის (გარდა მშენებლობის/რემონტის კატეგორიისა, სადაც რაიმე სახის ცვლილება/გადანაცვლება არაა დაშვებული). თუკი პროექტის მსვლელობისას ხარჯების ცვლილებები ბიუჯეტის ნებისმიერ ძირითად კატეგორიას შორის აღემატება თხუთმეტ პროცენტს (15%), GITA-ს დასამტკიცებლად უნდა გაეგზავნოს წერილობითი მოთხოვნა ფონდების გადანაცვლებისთვის.

GITA უფლებას იტოვებს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს დაფინანსება დაფინანსების ხელშეკრულების თანახმად, და მოითხოვოს გაცემული თანხების ნაწილის ან მთლიანი თანხის დაბრუნება, თუკი ბენეფიციარი ვერ შეასრულებს მის ვალდებულებებს დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, ან რაიმე სხვა მიზეზით, რომელიც არღვევს ორ მხარეს შორის კონტრაქტის პირობებს.

### 6.2.1. გადახდების კალკულაცია და ბალანსები

პროექტის სწორი იმპლემენტაციისთვის, გადახდების თანხები და გრაფიკი (**იხილეთ ცხრილი 3 - თანხის გაცემის გრაფიკი**) უნდა შეესაბამებოდეს შემდეგ გეგმას:

- პირველი წინასწარი გადახდა უნდა იყოს პროექტის დამტკიცებული ბიუჯეტის უნდა უდრიდეს პროექტის დამტკიცებული ბიუჯეტის გრანტის წილის 100%-ს[12], 1-ლი საანგარიშო კვარტლისთვის, პლიუს შემდეგი საანგარიშო კვარტლის (ანუ მე-2) გრანტის წილის 50%-ს და განხორციელდება დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. გადახდის მიღებამდე და მის მხარდასაჭერად, ბენეფიციარმა უნდა გააგზავნოს:

    a) თანხის მოთხოვნის განაცხადი;
    b) პირველი გადახდისთვის საკმარისი თანადაფინანსების მტკიცებულება[13],

[12] პროექტის საერთო ბიუჯეტს გამოკლებული თანადაფინანსების კონტრიბუცია

[13] საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანადაფინანსების კონტრიბუცია უნდა შეესაბამებოდეს თანადაფინანსების პროცენტს, რომელიც დაფინანსების ხელშეკრულებაშია წარმოდგენილი

რომელიც განთავსებულია შესაბამის საბანკო ანგარიშზე.

- შემდეგში, თითოეული წინასწარი გადახდა ამჟამინდელი საანგარიშო კვარტლის ბიუჯეტის გრანტის წილის 50%-ის ტოლი იქნება[14], პლიუს პროექტის ბიუჯეტის შემდეგი საანგარიშო კვარტლის 50%-იანი წილი. გადახდის მიღებამდე და მის მხარდასაჭერად, ბენეფიციარმა უნდა გააგზავნოს:

  a) თანხის მოთხოვნის განაცხადი;
  b) წინასწარი გადახდისთვის საკმარისი თანადაფინანსების მტკიცებულება[15], რომელიც განთავსებულია შესაბამის საბანკო ანგარიშზე;
  c) კვარტალური პროგრესის ანგარიში;
  d) კვარტალური ფინანსური ანგარიში.

- ბოლო წინასწარი გადახდა ბოლო საანგარიშო კვარტლის ბიუჯეტის გრანტის წილის 50%-ის ტოლი იქნება[16]. გადახდის მიღებამდე და მის მხარდასაჭერად, ბენეფიციარმა უნდა გააგზავნოს:

  a) თანხის მოთხოვნის განაცხადი
  b) წინასწარი გადახდისთვის საკმარისი თანადაფინანსების მტკიცებულება[17], რომელიც განთავსებულია შესაბამის საბანკო ანგარიშზე;

  ბოლო წინასწარი გადახდის შესათანხმებლად, ბენეფიციარმა უნდა გააგზავნოს

  a) ფინალური პროგრესის ანგარიში;
  b) ბოლო საანგარიშო კვარტლის ფინანსური ანგარიში

**ცხრილი 3: თანხის გაცემის გრაფიკი**

| ხარჯები | კალკულაცია | დაფინანსების საფუძველი |
|---|---|---|
| **1-ლი წინასწარი გადახდა** | გრანტის 100% პირველი საანგარიშო კვარტალისთვის<br>პლიუს<br>მე-2 საანგარიშო კვარტალის გრანტის 50%-მდე | • დაფინანსების შესახებ ხელშეკრულება<br>• თანხის მოთხოვნის განაცხადი;<br>• თანადაფინანსების მტკიცებულება, პირველი წინასწარი გადახდისთვის, რომელიც განთავსებულია შესაბამის ერთიან საბანკო ანგარიშზე. |

[14] პროექტის საერთო ბიუჯეტს გამოკლებული თანადაფინანსების კონტრიბუცია
[15] საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანადაფინანსების კონტრიბუცია უნდა შეესაბამებოდეს თანადაფინანსების პროცენტს, რომელიც დაფინანსების ხელშეკრულებაშია წარმოდგენილი
[16] პროექტის საერთო ბიუჯეტს გამოკლებული თანადაფინანსების კონტრიბუცია
[17] საბანკო ანგარიშზე განთავსებული თანადაფინანსების კონტრიბუცია უნდა შეესაბამებოდეს თანადაფინანსების პროცენტს, რომელიც დაფინანსების ხელშეკრულებაშია წარმოდგენილი

| | | |
|---|---|---|
| **მე-2 და მომდევნო წინასწარი გადახდები** | შესაბამისი საანგარიშო კვარტალის გრანტის 50%-მდე<br>პლიუს<br>შემდეგი საანგარიშო კვარტალის გრანტის 50%-მდე | • თანხის მოთხოვნის განაცხადი;<br>• თანადაფინანსების მტკიცებულება, შემდეგი წინასწარი გადახდისთვის, რომელიც განთავსებულია შესაბამის ერთიან საბანკო ანგარიშზე;<br>• კვარტალური პროგრესის ანგარიში;<br>• კვარტალური ფინანსური ანგარიში. |
| **ბოლო* წინასწარი გადახდა** | ბოლო საანგარიშო კვარტალის გრანტის 50%-მდე | • თანხის მოთხოვნის განაცხადი;<br>• თანადაფინანსების მტკიცებულება, ბოლო წინასწარი გადახდისთვის, რომელიც განთავსებულია პროექტისთვის გამოყოფილ საბანკო ანგარიშზე; |

* ფინალური პროგრესის ანგარიში, ფინანსური ანგარიში საბოლოო საანგარიშო კვარტლისთვის უნდა გაიგზავნოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იმპლემენტაციის პერიოდი დასრულდება.

ზემოთაღნიშნულ კალკულაციასთან ერთად, თითოეული წინასწარი გადახდა საბოლოო გადახდა, პირველის გარდა, შემდეგში შეიძლება შემცირდეს გაუხარჯავი ბალანსით, როდესაც ეს განპირობებულია დანაზოგით ან აქტივობების იმპლემენტაციის გადადებით. ამგვარმა შემთხვევამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ბენეფიციარმა უნდა გააგზავნო განახლებული ვადები და ბიუჯეტი, რათა მოხდეს ფონდების რეალოკაციის მოთხოვნა, თუკი აქტივობების გადადება ხელს არ უშლის პროექტის იმპლემენტაციას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, კონტრაქტი გაუქმდება, დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისი დებულებების თანახმად.

ფინანსურ ანგარიშებში გამოვლენილი დაუშვებელი ხარჯების შემთხვევაში, ბენეფიციარს არ ექნება უფლება მიიღოს შემდეგი გადახდა მანამ, სანამ შესაბამისი თანხა არ დაბრუნდება პროექტის ანგარიშზე.

**ბენეფიციარი აანაზღაურებს ნებისმიერ დაუხარჯავს ბალანსს ან დაუშვებელ ხარჯებს, იმპლემენტაციის პერიოდის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 დღისა. ეს დავალიანება გამოვლინდება GITA-ის ან მისი აუდიტორების მიერ ჩატარებული რევიზიების/შემოწმებების შედეგად.**

პროექტის მონიტორინგი და ანგარიშგება

ბენეფიციარისთვის თანხების გადახდამდე, GITA მოითხოვს პროექტის მონიტორინგს. მონიტორინგის მიზანი პროექტის პროგრესის შეფასებაა, დავალებების შესრულებისას და იმაში დარწმუნება, რომ ფინანსური ხარჯები შეესაბამება მოცემული პერიოდისთვის პროექტის დამტკიცებულ ბიუჯეტს. მონიტორინგის მეთოდები მოიცავს:

A) მიღებული პროგრესისა და ფინანსური ანგარიშების განხილვა;
B) საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე მონიტორინგის ვიზიტები;

ბენეფიციარმა სავალდებული პროგრესისა და ფინანსური ანგარიშები უნდა გააგზავნოს ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების ვებ-პორტალის მეშვეობით, პროექტის კვარტლის ბოლო კალენდარული დღიდან ორი (2) კვირის განმავლობაში. პროექტის მიმდინარეობის ანგარიშგების ან პროექტის ყველა აქტივობის დასრულებისა და პროექტის ფორმალურად დასრულების მოთხოვნა. GITA განახორციელებს ადგილზე მონიტორინგის ვიზიტებს ნახევარ წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად, თუკი საჭიროა და განისაზღვრება GITA-ს მიერ. GITA-ს მიერ ანგარიშების განხილვისა და დამტკიცების, და ადგილზე მონიტორინგის ვიზიტის დადებითი შედეგის შემდეგ (როდესაც შეესაბამება), გაიცემა პროექტის დაფინანსება შემდეგი კვარტლისთვის. პროექტის სრულად დამთავრების შემდეგ, ფინანსური (რაც პროექტის ბოლო კვარტალს ფარავს) და ფინალური პროგრესის ანგარიშები უნდა გაიგზავნოს GITA-ში, პროექტის ბოლო კალენდარული დღიდან ოთხი (4) კვირის განმავლობაში.

GITA განიხილავს გაგზავნილ ანგარიშს მისი მიღებიდან ორი (2) კვირის შემდეგ, განსაზღვრავს რაიმე გადაცდომას ან დარღვევას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დაეკონტაქტება ბენეფიციარს. დაფინანსების ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს, თუკი ბენეფიციარი ვერ განახორციელებს საკორექციო ზომებს, დაზუსტებების/კორექციის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 2 კვირის განმავლობაში. მონიტორინგის პროცედურების სრულყოფილი სურათისთვის, იხილეთ **ნახატი 2**

## ნახატი 2: მონიტორინგის პროცედურები



პროგრესის და/ან ფინანსურ ანგარიშებში დარღვევებისთვის, რომელთა გამოსწორება ან დასაბუთება შეიძლება და არ წარმოადგენენ ბენეფიციარის მიერ ფინანსების ან პროექტის არასწორი მენეჯმენტის შედეგს, ბენეფიციარს მოეთხოვება პროგრესის და/ან ფინანსური ანგარიშის განახლება და GITA-სთვის ხელახლა გაგზავნა, GITA-ის წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. GITA-ის მიერ განხორციელდება დამატებითი შემოწმებები. გადახდა განხორციელდება განახლებული პროგრესის და/ან ფინანსური ანგარიშების დამტკიცების შემდეგ.

კვრატალური და ფინალური პროგრესისა და ფინანსური ანგარიშების ნიმუშები ხელმისაწვდომი იქნება ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების ვებ-პორტალზე.

**თითოეულ ანგარიშს მოეწერება ხელი და დაესმება ბეჭედი (ასეთი არსებობის შემთხვევაში) ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ,** თითოეული ანგარიში უნდა დასკანერდეს და აიტვირთოს წარმოდგენილი ფაილის ნიმუშების მსგავსად. პროგრესისა და ფინანსურ კვარტალურ ანგარიშებს თან უნდა ახლდეს მხარდამჭრი დოკუმენტებისა და წინა კვარტლის საბანკო ამონაწერების ასლები. საბანკო ანგარიშებიდან ამონაწერები უნდა აჩვენებდეს ყველა შესაბამის გადარიცხვას, რომლებიც შეესაბამება მხარდამჭერ დოკუმენტებს. მეტიც, განსაზღვრული საბანკო ანგარიშებიდან ამონაწერები უნდა აჩვენებდეს, რომ ბენეფიციარს შენახული აქვს თანადაფინანსების მისი წილი შემდეგი გადახდისთვის.

**გაითვალისწინეთ, რომ ბენეფიციარმა არ უნდა გაიტანოს ან პირიქით, დადოთ პროექტის ანგარიშზე თანხა, რომელიც არ შეეხება პროექტს.** ამასთან, ფორმალური ანგარიშები, რომელიც მოთხოვნილია დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებით, წარმოადგენს ბენეფიციარის ვალდებულებას, რომ მოახსენოს GITA-ს პროექტის მნიშვნელოვანი მოვლენები, იქნება ეს დადებითი თუ სხვაგვარი. როგორც პროექტის კონტრიბუტორს, GITA-ს სურვილი აქვს, იყოს პროექტის სტატუსის საქმის კურსში. კეთილსასურველი ცვლილებების ან გაუთვალისწინებელი პრობლემის შემთხვევაში, GITA-ის ადრეული ინფორმირება GITA-ს მენეჯმენტს შესაძლებლობას მისცემს, იმუშაოს პროექტის გუნდთან ერთად, პროექტის აქტივობებში ნებისმიერი საჭირო ცვლილებების განხორციელებისთვის, ხელახალი დაგეგმარებისა და ბიუჯეტირების ჩათვლით.

პროექტის ნებისმიერი ცვლილების შესახებ (მაგ. პროექტის იმპლემენტაციაში, ვადებში, პროექტის ბიუჯეტში, პრაქტიკულ შედეგებში, პროექტის პერსონალში, და სხვ.) უნდა მოხდეს კომუნიკაცია GITA-სთან წერილობითი ფორმით, ვინაიდან მოთხოვნილია GITA-ის წერილობითი თანხმობა. ამგვარი ცვლილებები შეიძლება არ იყოს ეფექტური, ბენეფიციარისთვის გაცემულ წერილობით თანხმობამდე.

### 6.2.2. ფინანსური ანგარიში

კვარტალური ფინანსური ანგარიშის მიზანი (**დანართი IMG6a**) არის GITA-სთვის შესაძლებლობის მიცემა, მოახდინოს პროექტის რეალური ხარჯების მონიტორინგი და დაეხმაროს პროექტის დაფინანსების გაგრძელების გადაწყვეტილების მიღებაში.

მიმდინარე პერიოდში GITA-ს მიერ მხარდაჭერილი პროექტებთან დაკავშირებული ყველა ხარჯი უნდა აღიწეროს პროექტის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების თანახმად, და უნდა აისახოს ყველა კატეგორიის გადახდები შესაბამისი საბანკო

ანგარიშიდან. **ხარჯების აღიარება ხდება საკასო მეთოდიტ.**[18] ცვეთა არ იქნება წარმოდგენილი ამ განაცხადებში, ფინანსური მართვის მოთხოვნების საფუძველზე. ამის მსგავსად, ბენეფიციარი აღიარებს ხელფასებს გადახდის მომენტისთვის (დარიცხვები დაფინანსებისთვის არ იქნება მისაღები). ფინანსური ანგარიშები უნდა მოიცავდეს მხარდამჭერ დოკუმენტაციას, რომელიც უკავშირდება გადახდებს ან შესყიდვის მტკიცებულებას, როგორებიცაა საბანკო ანგარიშის ამონაწერები და სახელფასო უწყისის კალკულაციები, სამოგზაურო ხარჯების კალკულაციები, კონტრაქტები (თუ შესაძლებელია), ინვოისები, ვითრები, მიღება-ჩაბარების აქტები, საბანკო გადახდების ორდერები ყველა შესყიდვისთვის, კონტრაქტები და სხვ.

GITA-ის მიერ მონიტორინგი მოიცავს კვარტალური ფინანსური ანგარიშების შესაბამისობის შემოწმებას პროექტის დამტკიცებულ ბიუჯეტთან და ყველა მხარდამჭერი დოკუმენტაციის შემოწმებას.

GITA-ის მიერ ფინანსური ანგარიშის გადახედვისას გამოვლენილი საკითხების შემთხვევაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ბენეფიციარისგან შეიძლება მოთხოვნილი იყოს დამატებითი დოკუმენტაცია. ბენეფიციარისგან მოითხოვება პროექტის ფინანსური ჩანაწერების წყარო დოკუმენტების შენახვა და ფონდების გამოყენება არსებული და/ან სამომავლო პროექტებისგან განცალკევებით, პროექტის მიმდინარეობის ხანგრძლივობის განმავლობაში.

### 6.2.3. პროგრესის ანგარიში

კვარტალური პროგრესის ანგარიშების მიზანია (**დანართი IMG6b**), GITA-ის მისცეს შესაძლებლობა, მოახდინოს პროექტის პროგრესის მონიტორინგი და დაეხმაროს გადაწყვეტილების მიღებაში, პროექტის შემდგომი დაფინანსების შესახებ. ვადები, შემჭიდროვება, და საპროექტო განაცხადთან დათანხმება პროგრესის ანგარიშების ძირითადი მახასიათებლებია.

პროგრესის ანგარიშით მოცემული ანგარიშგების პერიოდი უნდა ემთხვეოდეს თანმხლები ფინანსური ანგარიშის პერიოდს. პროგრესის ანგარიში განხილული იქნება GITA-ის მიერ, პროგრესისა და ფინანსური ანგარიშების მიღების შემდეგ. ეს GITA-ს საშუალებას მისცემს, დააკავშიროს შესრულებული დავალებები და აქტივობები, რომლებიც აღნიშნულია თანმხლებ პროგრესის ანგარიშში, ფინანსურ ანგარიშში წარმოდგენილ ხარჯებთან.

GITA-სთვის გაგზავნილი პროგრესის ანგარიშები კონფიდენციალური იქნება, დაფინანსების ხელშეკრულების თანახმად. მიუხედავად ამისა, საკუთრებასთან დაკავშირებული ან კომერციულად სენსიტიური ინფორმაცია უნდა მითითებული იყოს.

### 6.2.4. მონიტორინგის ვიზიტები

GITA-ს წარმომადგენლების ადგილზე მონიტორინგის ვიზიტი პირდაპირ კავშირშია პროექტის ტექნიკური, გარემოსა და ფინანსური აქტივობების განხილვის/შემოწმებისთვის, მიმდინარეობს

[18] ხარჯების აღიარება საკასო მეთოდით საფუძველზე გულისხმობს, რომ შესყიდვებისას ბენეფიციარი გადახდის მომენტისათვის აღრიცხავს ხარჯებს ფინანსურ ანგარიშებში და ანალოგიურად, ბენეფიციარის მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივებული ასახულია პროექტის ბიუჯეტში (ან სააგენტოსათვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშებში) იმ ღირებულებით რაც მათ შესყიდვის მომენტისათვის გააჩნდათ.

თუ არა ისე, როგორც გაწერილია პროექტის დამტკიცებულ დოკუმენტებში. GITA განახორციელებს ადგილზე მონიტორინგის ვიზიტებს ნახევარ წელიწადში ერთხელ, ან უფრო ხშირად, თუ საჭიროა და თუ განისაზღვრება GITA-ის მიერ.

GITA ძირითად ბენეფიციარს შეატყობინებს ადგილზე ვიზიტის შესახებ წერილობით, ელ-ფოსტის მეშვეობით, მინიმუმ, ერთი (1) კალენდარული კვირით ადრე. შეტყობინება მოიცავს ვიზიტის მიზანს, რისი განხილვა მოხდება და ვინ დაესწრება ადგილზე ვიზიტის შეხვედრას. თავის მხრივ, ბენეფიციარი GITA-ის წარმომადგენლებს წარუდგენს ამ ვიზიტისთვის საჭირო დოკუმენტებს ან ინფორმაციას.

ადგილზე ვიზიტები, ტიპურად, მოიცავს პროექტის იმპლემენტაციის გადახედვას (მაგ. პროცედურები, ეტაპები გაზომვადი შედეგებით, ვადები, დავალებები, ხელშეკრულებები, პოლიტიკა და ფინანსური დოკუმენტაცია), ასევე პირად შეხვედრებს პროექტის გუნდის შესაბამის წევრებთან.

ადგილზე ვიზიტის დასასრულს, GITA-ის წარმომადგენლები, პროექტის გუნდის შესაბამის წევრებთან ერთად განიხილავენ შეხვედრის შედეგად გამოვლენილ ინფორმაციას და დააზუსტებენ, რაიმე მაკორექტირებელი ქმედებები თუა საჭირო ამ ვიზიტის შემდეგ. თუკი ადგილზე მონიტორინგის ვიზიტმა გამოავლინა რაიმე პრობლემა, ბენეფიციარს მოსთხოვენ ნაკლოვანებების აღმოფხვრას, შეთანხმებულ ვადებში. შემდგომი დაფინანსება დამოკიდებულია პრობლემის სიმძიმეზე და შეიძლება შეჩერდეს მანამ, სანამ ეს ნაკლოვანებები არ გამოსწორდება.

### 6.3. ძირითადი ფაილი

პროექტის დასაწყისშივე, ბენეფიციარმა უნდა შექმნას ძირითადი ფაილი. ეს ძირითადი ფაილი უნდა მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას და თითოეულ საქაღალდეზე/ამკინძავზე უნდა იყოს მითითებული ქვემოთ წარმოდგენილი ასოები და სათაურები:

(C) კორესპონდენცია

- ნებისმიერი ელ-ფოსტა ან ოფიციალური დოკუმენტაცია, რომელთა მიმოცვლა მოხდა აპლიკანტის და GITA-ის შორის, აპლიკაციის პერიოდის განმავლობაში (მაგ.GITA-ის პასუხი, GITA-ის შეტყობინებები, და სხვ.);
- ნებისმიერი ელ-ფოსტა ან ოფიციალური დოკუმენტაცია, რომელთა მიმოცვლაც მოხდა ბენეფიციარსა და GITA-ის შორის, პროექტის იმპლემენტაციის მანძილზე;

(F) დაჯილდოების შესახებ შეტყობინება და დაფინანსების ხელშეკრულება;

(P) განაცხადი - აპლიკაცია და მხარდამჭერი დოკუმენტაცია, როგორც განსაზღვრულია ამ სახელმძღვანელოს მე-2 თავში;

(R) იმპლემენტაცია

- პროგრესის ანგარიშები
- ფინანსური ანგარიშები, ყველა თანმხლები დოკუმენტის ჩათვლით

(როგორებიცაა ინვოისების ასლები, ხელშეკრულებები, გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები, და სხვ.)

ადგილზე ვიზიტების განმავლობაში, ძირითადი ფაილი ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

### 6.4. დაფინანსების შეწყვეტა

GITA-მ შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ დაასრულოს და/ან შეწყვიტოს დაფინანსება, მისი გადაწყვეტილების საფუძველზე, ინოვაციების თანადაფინანსების საგრანტო პროგრამის ან დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, რაც მოიცავს, მაგრამ არ იზღუდება შემდეგით:

6.5.1 ბენეფიციარის უუნარობა, საჭიროების მიხედვით, დროულად მიაწოდოს პროექტის იმპლემენტაციისთვის საჭირო რესურსები, მაგალითად, როგორიცაა დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებით წინასწარგანსაზღვრული თანადაფინანსების თანხების, დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, დეპოზიტზე განთავსებაზე უარის თქმა;

6.5.2 ბენეფიციარის უუნარობა, დაფინანსების პროექტით დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით გამოყენებაზე, მაგალითად, პროექტის დამტკიცებული ბიუჯეტის ბენეფიციარის მიერ 15%-ზე მეტის ალოკაცია, GITA-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;

6.5.3 ბენეფიციარის მნიშვნელოვანი უუნარობა, განახორციელოს პროექტი, საგულდაგულოდ და ეფექტურად, შესაბამისი ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, მენეჯერული, გარემოს და სოციალური სტანდარტებისა და პრაქტიკების თანახმად, ანტიკორუფციული გაიდლაინების დებულებების შესაბამისობის ჩათვლით, პროექტის აპლიკაციის, შეფასების ან იმპლემენტაციის ნებისმიერ ეტაპზე არასწორი ინფორმაციის მიწოდების და უხეში გადაცდომის ან თაღლითობის შემთხვევაში;

6.5.4 ბენეფიციარის უუნარობა, განახორციელოს პროექტი, ეროვნული გარემოზე ზემოქმედების კანონმდებლობისა და EMP/ESMP-ის მიხედვით, თუ შესაძლებელია, და დროულად მიიღოს ყველა ზომა, რათა GITA-მ შეძლოს ბენეფიციარის შესრულების ESMP-სთან შესაბამისობის მონიტორინგი;

6.5.5 ბენეფიციარის უუნარობა, დაიცვას პოლიტიკა და პროცედურები, რათა სათანადოდ მისცეს GITA-ს შესაძლებლობა, მოახდინოს პროექტის პროგრესის და მიზნების მიღწევის მონიტორინგი და შეფასება;

6.5.6 ბენეფიციარის უუნარობა, დაიცვას ფინანსური მართვის სისტემა და მოამზადოს ფინანსური ანგარიშები, თანმიმდევრულად გამოყენებული ბუღალტური სტანდარტების მიხედვით, და ამგვარად, სათანადოდ ასახოს პროექტთან დაკავშირებული ოპერაციები, რესურსები და ხარჯები;

6.5.7 ბენეფიციარის უუნარობა, GITA-ის მოთხოვნის საფუძველზე, მოახდინოს ფინანსური ანგარიშების აუდიტი, დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ, თანმიმდევრულად გამოყენებული აუდიტორული სტანდარტების მიხედვით და ოპერატიულად წარადგინოს ანგარიშები GITA-ს მიერ აუდიტის განსახორციელებლად;

6.5.8 ბენეფიციარის უუნარობა, GITA-ს და/ან მსოფლიო ბანკს მისცეს შესაძლებლობა, მოახდინონ პროექტის იმპლემენტაციის, მისი ოპერაციებისა და ნებისმიერი შესაბამისი ჩანაწერებისა და დოკუმენტების ინსპექტირება და წარუდგინოს GITA-სა და მსოფლიო ბანკს ყველა ამგვარი ინფორმაცია, ვინაიდან GITA ან მსოფლიო ბანკი გონივრულად მოითხოვენ პროექტის იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

6.5.9 ბენეფიციარის უუნარობა, მოახდინოს GITA-ის ინფორმირება პროექტში ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ (მაგ. პროექტის იმპლემენტაციის, ვადების, პროექტის ბიუჯეტის, პრაქტიკული შედეგების, პროექტის პერსონალის, და სხვ. შესახებ).

დაფინანსების შეჩერების შემთხვევაში, GITA ბენეფიციარს გაუგზავნის წერილობით შეტყობინებას, დარღვევის არსებობის შესახებ ინფორმაციით და მოთხოვნით, რომ ბენეფიციარმა გამოასწოროს დარღვევა, ამ შეტყობინების მიღებიდან, ორი (2) კვირის განმავლობაში. თუკი ბენეფიციარი არ აღმოფხვრის პრობლემას, GITA-ს უფლება აქვს, შეწყვიტოს დაფინანსების შესახებ ხელშეკრულება.

**ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების ან დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, ბენეფიციარს მოსთხოვენ, GITA-ის მიერ დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებით გაცემული მთლიანი თანხის ან მის ნაწილის დაბრუნებას.**

თუკი ბენეფიციარი დაასრულებს დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებას ან დატოვებს პროექტს, იგი ვალდებული იქნება GITA-ს დაუბრუნოს მისთვის გადარიცხული მთლიანი თანხა.

**დანართები** (ნიმუშები მოწოდებული იქნება აპლიკაციაზე განცხადების გამოცხადების შემდეგ)

დანართი IMG1 - ბიზნეს-გეგმის ნიმუში
დანართი IMG2 - გარემოს და სოციალური მართვის ჩარჩო-პროგრამა-ESMF
დანართი IMG3 - პროექტის ბიუჯეტის ნიმუში
დანართი IMG4 - 3-წლიანი ფინანსური პროგნოზი
დანართი IMG5 - აპლიკანტის განცხადება

**დანართები** (ნიმუშები მოწოდებული იქნება დაფინანსების შესახებ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების პროცესში)

დანართი IMG6a – კვარტალური ფინანსური ანგარიში

დანართი IMG6b - კვარტალური პროგრესის ანგარიში
დანართი IMG6c- ფინალური პროგრესის ანგარიში
დანართი IMG7 - თანხის მოთხოვნის განაცხადი
დანართი IMG8 – ინოვაციების თანადაფინანსების გრანტების დაფინანსების შესახებ ხელშეკრულება